F/L 370/1918

ტფ. 1918 წ. ორშაბათი, დეკემბ. 9

წელიწადი პირველი.

№ 4

# ჯარი და ერი



„ჯარი და ერის“ მე-4 ნომრის **შინაარსი:**

მსოფლიო კონგრესის მოლოდინში; გენერალი ფოში, **ა. პ—ისა**; სამხედრო საქმე, **გ. კ—ძისა**; Fiat justitia **პერეგნინუსისა**; პოლკოვნიკი ბიჩერახოვი **არტილერისტისა**; ქართველ ოფიცრებს—**აქ. აბესაძისა**; 1906 წელი—**ლ. ცაგარლისა**; რა გზით უნდა ვიხსნათ თავი ფინანსიურ გაჭირვებისაგან **პ. უ—ნისა**; ქართულ ჯარში—**მ. იმხნელისა**; მიმოსვლა საქართველოს და რუსეთის შუა მე-18 საუკუნეში—**ფ. სირაძისა**; სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა—ექ. **ნიკ. ერისთავ-შარვაშიძისა**; პრესა.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

„ჯარი და ერი“

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ.

ჟურნალი წლის დამლევამდე ღირება 12 მ. ცალკე ნომერი 2 მან. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, რედაქცია „ჯარი და ერი“. რედაქცია და კონტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5, და ღია არის დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 ს.

რედაქტორი **ა. ხ. ხვანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტფილისი, ქრისტეშობისთვის 9.

**მსოფლიო კონგრესის მოლოდინში.** ხშირად სწერო ჟამი ახლოვდება. ვერსალში, ბრიუსელში ლონდონში თუ სხვაგან სადმე მალე მოიყრის თავს კრებული, რომლის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ისტორიას არ ეხსომება. მას ვერ შეედრება ვერც ოსნაბრიუკის (ვესტფალის) კრებული, ვერც ვენისა და ვერც ბერლინისა. ვერ შეედრება, რადგან არც ერთ მათგანს არ სდებია ვალათ ისეთ უზარ-მაზარ მნიშვნელობის საკითხების გადაჭრა, როგორც მომავალ კონგრესს ედება. მან უნდა გაანაწილოს ძალა და გავლენა გამარჯვებულთა, დამარცხებულთა, ნეიტრალურ და ახლათ შექმნილ სახელმწიფოთა შორის. ამ ოთხ კატეგორიაში მთელი ქვეყანა შედის, მაშასადამე მომავალმა კონგრესმა მთელი მსოფლიოს ბედ-იღბალი უნდა გადასჭრას. ეს ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ ციურ ძალებსაც რომ მოუწოდოთ კონგრესში მონაწილეობის მისაღებათ მაშინაც კი ვერ ვიქონიებთ იმედს, რომ იგი დასძლევს მის სიმძიმეს. ამიტომ ჭკუაზე ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ მომავალში ერთ კონგრესსის მაგიერ ჩვენ ერთ მთელ კონგრესსების რიგთან გვექნება საქმე.

ეჭვს გარეშეა, მომავალი კონგრესი გულდასმით განსჯის ყოველს მნიშვნელოვანს საერთაშორისო კითხვას და დასდებს მას თავის მსჯავრს. მაგრამ კაცობრიობა ამ ჟამათ ერთგვარ კატაკლიზმების ხანას განიცდის. მასში ისეთი ძალები მოქმედებენ, რომელნიც არა თუ არ ექვემდებარებიან სახელმწიფოს წარმომადგენელთა ნებას, მათ აზროვნებასაც კი აღემატებიან. როგორი ღრმაც უნდა იქნენ, მომავალი კონგრესსის გადაწყვეტილებანი, სულ ადვილი შესაძლებელია, ცხოვრებამ მეორე დღესვე გააბათილოს ისინი.

ვთქვათ მოკავშირეებმა შესძლეს რუსეთის ძალით აღდგენა, მაგრამ მიატოვეს თუ არა მათმა ჯარებმა რუსეთის საზღვრები, უკანასკნელი ისევ ანარქიამ მოიცვა. ეჭვს გარეშეა ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იკისრებს სხვების დაუკითხავათ რუსეთში მოქმედებას. საჭირო იქნება, მაშასადამე ხელახალი საერთაშორისო შეთანხმება რუსეთის შესახებ, ხელახალი კონგრესი. ვთქვათ უკრაინა პოლონეთი ბოგემია ან სხვა ახალი თუ ძველი სახელმწიფო ვერ შეეგუა იმ პირობებს, რომელშიც ჩააყენა იგი კონგრესმა და ძალით მოისურვა საკუთარ პროგრამის განხორციელება. მაშინაც ახალი საერთაშორისო მოლაპარაკება, ახალი შეთანხმება იქნება საჭირო.

ამ გვარათ, მომავალში ჩვენ სულ ახალ-ახალ საერთაშორისო პრეცედენტებს და ახალ-ახალ კონგრესებს უნდა მოველოდეთ. ასეთი შესაძლებლობის სავსებით თავიდან აცილება შეუძლებელია. არ უნდა დავივიწყოთ შემდეგშიც. ნურავინ იფიქრებს, რომ მომავალი კონგრესი ერთგვარი დიპლომატიური პარლამენტი იქნება, რომელშიაც ყოველი დიდი და პატარა ძველი და ახალი სახელმწიფოს ან ერის წარმომადგენელს ერთი და იგივე გავლენა ექნება. პირიქით, უნდა მოველოდეთ, რომ მომავალ კონგრესზე გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოს წარმომამადგენელნი იბატონებენ. შესაძლებელია, პატარა სახელმწიფოები სულ არ იქნენ მასზე დაშვებულნი. შესაძლებელია, თვით დამარცხებული ბუმბერაზი გერმანიაც კი მხოლოდ იმიტომ იქმნეს მასზე მიწვეული, რომ ხელი მოაწეროს მხოლოთ თავის უბედურებას!

ასე მოიქცა ვენის კონგრესი. ოთხმა მოკავშირემ: ავსტრიამ, ინგლისმა, პრუსიამ და რუსეთმა მოილაპარაკეს, შეადგინეს საიდუმლოთ სამოქმედო პროგრამა და შემდეგ გამოცხადდენ მხოლოდ კონგრესზე. მათის აზრით, არა თუ პატარა სახელმწიფოებს, თვით საფრანგეთსა და ისპანიასაც არ უნდა ჰქონოდათ კონკრესზე არავითარი გავლენა. ევროპის ბედ-იღბალი მხოლოთ ამ ოთხს სახელმწიფოს უნდა გადაეწყვიტა.

თუ მომავალი კონკრესიც შაბლონზე იქნა შედგენილი; თუ მასზე ტონის მიმცემმა წარმომადგენლებმაც იმაზე იფიქრეს მხოლოდ, როგორ დაყონ მათ მსოფლიო თავიანთ ზედგავლენის სფეროებათ, და არ გაუწიეს ანგარიში ადგილობრივს ინტერესებს, მაშინ პრეცედენტების და კონგრესების ხანას დასასრული არ ექნება. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ ასე. ინგლისის ელჩი კესტლირი, როგორც პარლამენტარულ ქვეყნის წარმომადგეხელი, ვენის კონგრესზევე გრძნობდა ასეთ ტაქტიკის უხერხულებას. დღევანდელ კონგრესზე ყოველი წარმომადგენელი ერის სახელით ილაპარაკებს და არა მეფისა იმედი ვიქონიოთ, რომ კონგრესი არ დასტოვებს უყურადღებოთ წვრილი ერების და სახელმწიფოების ღაღადს, გამო-

იჩენს მათდამი ყურადღებას და მიუდგომლობას იმდენად მაინც, რომ მათი ბედ-იღბლის გადაწყვეტისას მაინც მოუსმენს მათ. ეს გაცილებით შეამცირებს კონფლიქტების სფეროს. შეამცირებს, რადგან გიგანტების შეხლა და ბრძოლა ხშირად, ძალიან ხშირად, ქონდრის კაცებისაგანაა გამოწვეული.

---



## გენერალი ფოში.

მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება სარდალი, რომლისთვისაც ასეთ გიგანტურ ბრძოლის ქთავრება ერგუნებია ბედს. მნიშვნელობით ა. ბრძოლას მხოლოთ კატალაუნის ბრძოლა თუ შეედრება. იქაც და აქაც მსოფლიოს ბედ-იღბალი წყდებოდა ხმლით. სიდიდით ფოშის მიერ დათავებულ ომს ხომ ვერც ერთი წარსული ომი ვერ შეედრება. არც ატილლას და მის მოწინაალმდეგეთ, არც ჩინგიზს ყაენს,, აოც თემურს და არც კოალიციონერების ლეიპციგის ბრძოლაში არ დაუგროვებიათ ისეთი უზარ-მაზარი ლაშქრები, როგორც ორთავ მხრის მოკავშირეებმა დააგროვეს სხვა და სხვა ფრონტებზე ამ ომში. უდიდესი ჯარები, რომელნიც აქნამდის მსოფლიო ისტორიას ეხილნა, იყვნენ ის ჯარები, რომელნიც ამერიკისა და რუსეთ-იაპონიის ომებში იღებდეხ ორთავმხრივ მონაწილეობას. მაგრამ ეს ჯარები, დაახლოვებით, თითო მილიონს არ აღემატებოდენ. რა შესადარებელია ეს მასთან, რაც ჩვენ ამ ომის დროს ვიხილეთ! დაწვრილებით ცნობები ამ ომის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოება, მაგრამ ნავარაუდევი ციფრებიც რომ მივიღოთ მხედველობაში, განსხვავება მაინც კოლოსალური იქნება.

რაზმის უფროსის რეპინგტონის ანგარიშით მარტო მოკავშირეთა მხრივ სხვა და სხვა ფრონტზე 350 დივიზია იღებდა მონაწილეობას. თავის თავად ცხადია, აქ მოქმედ ჯარებზეა ლაპარაკი და არა ისეთებზე, რომელნიც ჯერ-კიდევ ლაპოებში ეწყობოდენ შემდეგ სამოქმედოთ. ეჭვს გარეშეა, სანამ რუსეთი იარაღს არ დაყრიდა, შეთანხმების სახელმწიფოთა მხრივ გაცილებით მეტი ჯარი იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში. მაგრამ არც რუსეთის ჩამოშორების შემდეგ ეყოლიებოდათ დასავლელებს გერმანელებზე ნაკლები ლაშქარი. როგორც არ უნდა ვიანგარიშოთ, ფოში 350 დივიზიას უფროსობდა. ეს უზარ-მაზარი ძალები უშველებელ მახძილზე იყვნენ გაბნეულნი. მიუხედავათ ამისა, ფოშმა ერთდროულიათ დასძრა ისინი და აძგერა მოკავშირეთა ფრონტებს, აძგერა და შემუსრა კიდეც. საკვირველია ამ სარდლის გამჭრიახობა! სადაც კი მოუხდა მას ამ ომის დროს მოქმედება, მისი სტრატეგიული დიაგნოზი და პროგნოზი ჭეშმარიტად დიდებული იყო მუდას.

მარნის ბრძოლის დროს მას და მის ჯარს სენტ-გონდის ჭაობების დაცვა დაევალათ. ეს ადგილი ფრანგების საერთო პოზიციების ცენტროს წარმოადგენდა. ფონ-კლუკი არამც თუ ვეღარას გახდა მონურის წინააღმდეგ, არამედ თვით იქმნა შევიწროვებული ფრენჩის და ფრანშ და ესპერეს მიერ. ბიულოვმა და ჰაუზენმა ფოშის პოზიციებზე სცადეს საქმის გამოსწორება და თავგანწირული იერიშები მიიტანეს მე-9 არმიის მარჯვენა ფრონტის წინააღმდევ და გაანგრიეს კიდეც იგი. მდგომარეობა მეტათ კრიტიკული იყო, მაგრამ ფოშს წარბი არ შეუხრია. მან ასე მიმართა თავის ჯარს: გერმანელებს ძალიან ცუდათა აქვთ საქმე და იმიტომ იმეტებენ თავსაო. მთავარ შტაბს კი შემდეგს უთვლიდა: ,,საერთო მდგომარეობა შესანიშნავია‘‘. მან ამავე დღეს გამოასწორა მართლაც საქმე.

რუსეთის ფრონტი რომ დაინგრა, გერმანელებმა მთელი აქაური ჯარი და არტილერია დასავლეთის ფრონტზე მოაქციეს. მათ მიიწვიეს აგრეთვე ავსტრიელთა, ოსმალთა და ბულგართა კონტინგენტები და სასტიკი იერიში მიიტანეს დასავლელებზე. კაცი იფიქრებდა, თუ შეთანხმების კავშირი ამ რისხვას გადურჩა, იმდენათ მაინც დასუსტდება, რომ დიდის ხნით დაკარქავს კონტრ-იერიშების უნარსაო. მით უფრო რომ, გერმანელების მტკიცებით, მათ მეტი რეზერვები ჰყავდათ, ვიდრე მოწინააღმდეგეებს. ფოშმა სულ სხვანაირად დააფასა მდგომარეობა: როდესაც ჩვენთვის კრიტიკული იყო ეს, იგი დამაკმაყოფილებლად აღიარებდა მას. გერმანელებს ზოგად იერიშებზე საერთო იერიშით უპასუხა მან და მიაღწია კიდეც მიზანს.

პერეგრინუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო საქმე.

წინა წერილში*) ვსთქვით, რომ სამხედრო მეცნიერება და სამხედრო ხელოვნება არსებობენ. მაშასადამე, ყოველმა სახელმწიფომ სამხედრო ძალა უნდა მოაწყოს სამხედრო მეცნიერების მოთხოვნილებათა თანახმათ, რადგანაც სამხედრო მეცნიერების დასკვნები რეალურ ფაქტებს ემყარებიან. რომ ადვილათ გავითვალისწინოთ სამხედრო მეცნიერების დებულებანი, რომელთაც თანამედროვე ყამს ჯარის დარაზმულობა უნდა ემორჩილებოდეს, ჩვენ ჯერ განვიხილავთ სამხედრო ხელოვნების ისტორიულ განვითარებას და ვეცდებით გამოვიკვლიოთ, რა გვარი მოწყობილებაა საუკეთესო.

კაცობრიობა ომობს ან ხმელეთზე, ან მიწის ქვეშ, ან ჰაერში, ან ზღვაზე, ან წყალქვეშ, ომობს ზამთარში, ზაფხულში, დღისით და ღამით. და ომის ბედზე დიდი გავლენა აქვს რაიმე მოულოდნელ შემთხვევას. სამხედრო მეცნიერებამ ეს გარემოებანი განაწესრიგა და უწოდა სახელად „ბრძოლის ელემენტები“. მაშასადამე, ბრძოლის ელემენტებია: ძალა, ადგილ-მდებარეობა, დრო და შემთხვევა. ძალას შეადგენენ: კაცი, იარაღი და ტეხნიკური საშუალებანი. ამ ყველა ელემენტთა თავმოყრას უწოდებენ „სამხედრო მდგომარეობას“.

სამხედრო ხელოვნების ევოლიუციის მიზეზად იყო ბრძოლის ცვალებად ელემენტების ცვლილება, სახელდობრ კაცი თვისი ხორციელ და სულიერ ძალებითა და ბრძოლისთვის აუცილებელი მრავალნაირი მატერიალური საშუალებანი, მაგალითად: იარაღი, ლაშქრისათვის სურსათის მიწოდ-მოწოდება, წესიერება და სხვა.

რადგანაც ჯარი მთელ სახელმწიფოს ეკუთვნის და ამის სახელმწიფოებრიობის დამცველია, შეიძლება ვსთქვათ, რომ ჯარი სახელმწიფო-უფლებრივი სხეულია და სახელმწიფოს დამცველია როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან.

უწინ, როდესაც ერი ცხოვრობდა მწყემსობით, ყოველი მამა კაცი, ომიანობის დროს, ჯარის შესადგენათ უნდა გასულიყო აუცილებლათ თვისის იარაღით, მოწყობილებით და სურსათით, ესე იგი, ყოველ ერის სამხედრო ძალად იგივე ერი იყო. მაშინ ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, მოლაშქრე იყო. ამ დროს ლაშქრის მოთავე, იგივე სახელმწიფოს მოთავე იყო. როდესაც კი მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა განვითარდა, სამხედრო საქმე გამოეყო ეკონომიურ მდგომარეობას და სახელმწიფო ცხოვრების საკუთარ დარგად იქცა. სახელმწიფოს ყველა ზემოხსენებულ დარგის განვითარებას, მის კულტურას და სახელმწიფოს წყობილების ძირითად დებულებებს დიდი გავლენა ჰქონდა სამხედრო საქმეზედ.

ინდოეთსა და ეგვიპტეში ლაშქარი შეიქმნა სამხედრო კასტად. იგივე მოხდა სპარტაშიაც, მაგრამ აქ სამხედრო კასტას შეადგენდნენ არა მხოლოდ დამპყრობელნი, არამედ მთლად ერი (დორიელნი). კასტა ჩვეულებრივათ, გარდაგვარდა და ეს სახელმწიფოების მტერმა ადვილათ დაიპყრო. ატიკისა და რომის ლაშქარს შეადგენდა მთელი ერი და, შეიძლება ვსთქვათ, რომ ამათ ჰყავდათ ეროვნული მილიცია, ომის დროს რომ მოიწვევდნენ ხოლმე. ამ ქვეყნებს მუდმივი ჯარი ჰყავდათ, მაგრამ ეს ჯარი მცირერიცხოვანი იყო. თუ დავაკვირდებით ამ სახელმწიფოთა ისტორიის მსვლელობას, შევამჩნევთ, რომ ეს ეროვნული მილიცია თანდათან გარდაიქცა მუდმივ ჯარად, და ამ ჯარში არა მხოლოდ ისეთნი შედიოდნენ, რომელთათვის სამხედრო ბეგრის მოხდა იყო მოვალეობად, არამედ დაქირავებული სხვა ერებიცა. აგრე გაჩნდა ლაშქარი, რომელიც სახელმწიფოსთან დაკავშირებული იყო მხოლოდ იმპერატორების, თავის მოთავის, საშუალებით. რადგანაც ამ ჯარს ეროვნული ხასიათი დაეკარგა, ამნაც რომის იმპერიის დაცვა ვერ შესძლო და რომიც დაემხო.

გერმანელების ლაშქარსაც ეროვნული ხასიათი ქონდა, მაგრამ აქ მეფეთა ძალა უფლება თანდათან განმტკიცდა. რათა მიემხროთ ქვეშევრდომები და ამით გაეძლიერებიათ თავისი ძალა, მეფენი მათ ურიგებდნენ მიწა-წყალსა, რის გამო ქვეშევრდომი ხდებოდა მევალედ მეფისთვის ემსახურნა. მემამულენი ასევე მოექცნენ მეფისაგან ბოძებულ მამულს. როდესაც საჭირო იქნებოდა, ეს ბატონები ვალდებულნი იყვნენ, სინიორის ბრძანების თანახმად, მეფის განკარგულებაში მოქცეულიყვნენ და თან მოეყვანათ ლაშქრის განსაზღვრული რაოდენობა. აგრე დამყარდა ფეოდალური წესწყობილება. ამ წესწყობილებამ გამოიწვია ვასალების გაძლიერება და ხშირათ ვასალები თავის მეფეს ებრძოდნენ კიდეცა. მეფეთა, რათა განემტკიცებინათ თვისი ძალა-უფლება, თვისი და ვასალთა დამოკიდებულება შეეცვალეს და, ლაშქრის ნაცვლად, ვასალებს დაავალეს ფულის შემოტანა, და ამ ფულის საშუალებით თავისი საკუთარი ჯარი შეადგინეს. ამ გვარათ ლაშქარს დაეკარგა ეროვნული ხასიათი და მოლაშქრენი გახდნენ დაქირავებულებად. ამ დაქირავებულ მოლაშქრეებს ყველაზე უწინ ვხედავთ საფრანგეთში, სადაც ამათ თანდათან ფეოდალურ ჯარის ადგილი დაიჭირეს. ამ სამხედრო რაზმების შედგენის უფლება პირველადვე ქონდა ყველას, ვისაც სურდა, მაგრამ მეფეებმა ეს უფლება ქვეშევრდომებს თანდათან წაართვეს და თავის პრეროგატ გახადეს. ვისაც სურდა სამხედრო რაზმის შედგენა, მეფესაგან უნდა აეღო ნებართვა, პატენტი. და ამ რაზმების ბოროტ-მოქმედებისა და ყოველგვარ ძალადობისათვის პასუხისმგებელი მეფის წინაშე მათი მოთავე იყო. ამ გვარად დამყარდა მუდმივი ლაშქარი, რომლის მოთავედ მხოლოდ მეფე იყო. მაგრამ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლაშქარი იყო ცხენოსანი ჯარი, როგორც ფეოდალურ წესწყობილების ნაყოფი. მეფეებს უნდოდათ შეედგინათ აგრეთვე ქვეითი ჯარიც, მაგრამ ეშინოდათ გლეხებისთვის ხელში იარაღი მიეცათ. ამიტომ მეფეებმა დაავუძვნეს შვეიცარიელებისაგან შემდგარი რაზმები. ეს გახლდათ საფრანგეთში. გერმანეთში კი მოაწყვეს ეგრეთ წოდებული ლანდსკნეხტის რაზმები, რომლებიც პირველში შესდგებოდა მხოლოდ აზნაურ რაინდთაგან და მერმე ესენი შვეიცარიელების მსგავსათ გადაიქმნენ და ემსახურებოდნენ ყველა სხვა სახელმწიფოთა მეფეებს.

ეს გახლდათ მე-14 მე-15 საუკუნეებში. სახელმწიფოები ამგვარ ლაშქრით ომობდენ მე-16 და მე-17 საუკუნოებში.

*) იხ. „ჯარი და ერი“ №№ 1 და 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ამ ჯარს ეროვნული ხასიათი არა ჰქონდა. ხშირათ ამისთანა ჯარი ორგულათ იქცეოდა, არა-ერთხელ უღალატნია თავის მეფისათვის და უცხო მეფესთან გადასულა, თვით ომის დროსაც კი. ბევრნი სცდილობდნენ ეს უხერხულება მოესპოთ, და საფრანგეთში მეფე ლიუდოვიკ მე-14-ს დროს მისმა სამხედრო მინისტრმა ლუვუამ დაამყარა ეროვნული მუდმივი ჯარი. ამნაირათ წარმოიშვა პირველი ეროვნული ლაშქარი. ამას შემდეგ იგივე წესი შემოიღეს ავსტრიაში, მარია-ტერეზიის და პრუსიაში—დიდ კურფურსტის ფრიდრიხ-ვილჰელმის დროს. ამასთანავე, თანდათან გავრცელდა და დამყარდა სახელმწიფოებრიობის იდეა. და ყველამ შეიგნო, რომ ჯარი არა მხოლოდ მეფისაა, არამედ ეკუთვნის მთელ სახელმწიფოს, როგორც ერთ სასოგადოებას. ამ მუდმივს ჯარში ჯარისკაცების გაწვევა საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგარაზე არ იყო დამყარებული და ეს უკანასკნელი სახელმწიფოებში ანაზღეულათ არ იყო შემოღებული.

ჯარისკაცებს ჯარში გაიწვევდნენ ან ხალისით, ან და იძულებით, მოტყუილებით და სხვა. მე-18 საუკუნეში პრუსიაში შემოიღეს საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგრის გზავსი წესი. ამ წესის თანხმად ოფიცრობას შეადგენდა აზნაურობა და ჯარისკაცებს—გლეხობა. აზნაურობას და გლეხობას შარის ურთიერთობა დამყარებული იყო გლეხობის მორჩილებაზე, და, როგორც ამის შემდეგი, ჯარში დამყარდა სასტიკი დისციპლინა. და ეს დისციპლინა მთელ ევროპაში განთქმული შეიქმნა. მაგრამ ამ ლაშქრიანობის წესს წოდებრივი ხასიათი ჰქონდა.

ანგლიაში, დიდ რევოლუციის შემდეგ, რევოლუციონერმა ლ. ანობამ მთელი ერი შეაერთა და ამ დროს მათი ჯარა გახდა იმ ეროვნულ მილიციად, მეფობის ძალ-უფლების გაძლიერებამდე რომ ყველა ერში არსებობდა. მე-19 საუკუნეში ყველა სახელმწიფოებში წოდებრივი პრივილიგიები თანდათან იყო შეკვეცილი და დამყარდა საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგარა. ამ ბეგრის საშუალებით ჯარმა ეროვნული ხასიათი მიიღო; ახლა ომში მონაწილეობას იღებს არა მხოლოდ მეფის ჯარი, არამედ სახელმწიფოს მთელი ერი, რადგანაც ომიანობის დროს ჯარში გაწვეულია ყველა, ვისაც კი ძალა და ღონე აქვს. რადგან ჩვენს დროში რიცხვითს უმეტესობას დიდი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოები მუდმივს ჯარში საშასახურის დროს ამოკლებენ, ესე იგი, მუდმივი ჯარი, ესე ვსთქვათ, გარდაიქცა იმ საფუძვლად, რომელზედაც უნდა აშენდეს სახელმწიფოს, მთელ ერის, შეიარაღებული ძალა.

კარგათ ვიცით, რომ ყველა ერი და სახელმწიფოები, როგორც ეროვნულ მილიციის, ისე მუდმივის ჯარის დროს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ლაშქრის დარაზმულობას და მის გაწვრთნას, რადგანაც უკეთესად დარაზმული და გაწვრთნილი ჯარი მუდამ იმარჯვებდა დაურაზმავ და გაუწვრთნელ ჯარზედა.

თანამედროვე ხანაში ჯარის მოწყობა ორნაირათ ხდება. პირველი გახლავსთ მუდმივი ლაშქარი, რომელიც ნამდვილათ მხოლოდ ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალების კადრებია, და 2) მილიცია, რომელსაც ეს კადრები ძალიან შემცირებული აქვს.

ამ ორივ მოწყობათა ერთი მეორესთან შედარებას შემდეგს წერილში შევუდგებით.

გ. ქ ძე.

# Fiat justitia

სახელმწიფოს, როგორც რთულს სოციალურ მოვლენას, ბევრი დამახასიათებელი თვისება აქვს. ამ თვისებათაგან ერთ უმთავრესთაგანს წარმოადგენს სახელმწიფო ძალა. სახელმწიფო ძალა სახელმწიფოსათვის ისაა, რასაც ლოღიკა differentia specifica"-ს უწოდებს ე. ი. ისეთი თვისება, ურომლისოთაც სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია.

ძალა სხვადასხვანაირია. ძალა აქვს პარტიას თავის წევრებზე; ძალა აქვს კავშირს, ოჯახს, ეკლესიას, მაგრამ ეს ძალა დიდათ განსხვავდება სასახელმწიფო ძალისაგან. იგი დისციპლინალური, სათუოა. სახელმწიფო ძალა კი უთუოა. იგი ისაა, რასაც რომაელები imperium-ს უწოდებდენ ე. ი. ბრძანებლობა, რომელსაც თან სდევს საშუალება ნაბრძანების ასრულებისა. პიროვნებას შეუძლია ზურგი აქციოს პარტიას, განერიდოს ოჯახს, უღალატოს ეკლესიას; ეს კავშირები ვერც ვერას უზამენ მას (სახელმწიფოს დაუხმარებლივ). „სახელმწიფოს imperium-"ს კი დღეს ვერავინ ჰყოფს უარს, თუ უდაბნოს არ გადასახლდება ან პოლიუსზე არ გადიხვეწება".

თავის თავად ცხადია, „დღევანდელი სახელმწიფო ყოველ პიროვნებას, ყოველ კავშირს, აძლევს საშუალებას თავისუფლათ, მის ჩაურევლათ, იმოქმედოს განსაკუთრებულ სფეროში, მაგრამ შეუძლებელია იცნოს მან (თავის საზღვრებში, ა. პ.) სხვა დამოუკიდებელი ძალა, რომელიც წინ უდგეს მას, როგორც ზღვარი და ზღუდე."

ამას გვიკარნახებს იურიდიულ მეცნიერების ერთი უდიდესი წარმომადგენელი (პროფეს. იელლინეკი). მაგრამ საქართველოს რესპუბლიკაში მაინც არსებობენ ძალები, რომელნიც არც ჩვენი სახელმწიფოს „imperium-"სა სცნობენ. არც თავიანთისას და არც პოლიუსისაკენ ისწრაფიან.

გაზეთებმა გვაუწყეს უკვე, რომ რუსის სამღვდელოება წარმომადგენლებს გზავნის ბაქოში, რომელსაც აზრათა აქვს უცხოელებს ჩვენს საქმეებში ჩარევა შესთხოვოს. გაზეთებმა გვაუწყეს აგრეთვე, რომ რუსთა ნაციონალურმა საბჭომ მოისურვა საკუთარი წარმომადგენელი მიეგზავნა უცხოელთ დელეგაციისათვის ბათუმში. პატივცემულნო მამანო! და თქვენც, პატივცემულო „სოვეტნიკებო"! სანამ საქართველოს ტერრიტორიაზე არსებობს ადგილობრივი მ ცხოვრებლების ნდობით აღჭურვილი მთავრობა, თქვენ მოვალენი ხართ დაემორჩილოთ მის განკარგულებებს. ყოველი თქვენი ცდა, რომელიც იმისკენ იქნება მომართული, რომ დააღწიოთ თავი მის ზედგავ-

ლენას და დაიჭიროთ საქმე მის გარეშე მდგომ უცხო ძალასთან, სახელმწიფოს ღალატი (ან ამის ბადალი რამ) იქნება და, იმედია, ღალატითვე ჩამოგერთმევათ.

ძველმა რუსეთმა ოდესღაც სამჯავროს გადასცა რუსეთში მცხოვრები გერმანელები, რომელნიც ფულსა სწირავდენ თავიანთ სამშობლოს ფლოტის გასაძლიერებლად. ჩვენ ასეთ რასმე არ დაგიშლით, ჰქენით, რაც გინდათ თქვენის სამშობლოს საკეთილ-დღეოთ. მაგრამ ჩვენის სამშობლოს საქმეებში ჩარევას, და ისიც მისდა საზარალოთ, ნუ ინებებთ. ჩვენი მთავრობა მუდამ მეტათ ლმობიერი იყო თქვენდამი; ნუ ჩააყენებთ მას ისეთ მდგომარეობაში, რომ ლმობიერება ცოდვათ ჩამოერთვას.

ა. კ.

## პოლკოვნიკი ბიჩერახოვი.

ჩვენის პოლიტიკურ ცხოვრების ჰორიზონტზედ კვლავ ამოტივტივდა სახელი პოლკოვნიკ ბიჩერახოვისა. გაზეთებმა გადმოგვცეს, ბაქოში ინგლისელებთან ერთად ბიჩერახოვიც შევიდა თავისის რაზმით და ხალხს ამცნო თავისი თავი ამიერ-კავკასიის ზღვის და ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლადო.

საჭიროთ ვსთვლით „ჯარის და ერის“ მკითხველთ გავაცნოთ ახალ გმირის ვინაობა. პოლკოვნიკი ბიჩერახოვი ჩრდილო-კავკასიიდგანაა, შთამავლობით ოსია და მსახურებდა ყუბანის ჯარში. იმის სახელი პირველად მე გავიგონე კავკასიის პირველ საკავალერიო კორპუსში, აღმოსავლეთ სპარსეთში, სადაც ის სულ შემთხვევით გახდა გმირად. კავკასიის ჯარმა სამშობლოსაკენ პირი რომ იბრუნა, და ფრონტზედ ყოველიფერი აირდაირია, სპარსეთში 1 საკავალერიო კორპუსში, ანუ, როგორც მას უძახოდენ, ბარათოვის კორპუსში, შედარებით, სიწყნარე იყო ეს იმით აიხსნებოდა, რომ კორპუსში უმეტესობა ყაზახ—რუსები იყვნენ, ეს ერთი, მეორეც ისა, რომ ეს ჯარი ერთობ დაშორებული იყო ზურგს და სამშობლოს და საშიშ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნილიყო ირანის თვალუწვდენელ ველებში, უფრო წინდახედულად მოქმედობდა, ასე რომ დეკემბრის დამდეგიდან შარშან, როდესაც სპარსეთიდგან ჩვენი ჯარი წამოვიდა, რეშტ-ენზელამდის წესიერად მოდიოდა, მერმე, რამდენადაც სამშობლოს უახლოვდეყოდა, იმდენათ უფრო ირყვნებოდა და ხულიგანდებოდა. როდესაც ჯარი უკან დასაბრუნებლად ეწყობოდა და თბილისიდანაც ბრძანებაც იყო წინ არ წასწულიყო და შეტევაზედ არ გადასულიყო, პოლკოვნიკ ბიჩერახოვმა ნოემბრის დამლევს, გენერალ ბარათოვის დოცვა-კურთხევით 1000 კაცამდე პარტიზნ. ყაზახებით გაიწია ინგლისელებისაკენ, მათთან შესაერთებლად; გადავიდა მდინარე დიალუზე, აიღო ქალაქი კასემირანი და მესოპოტამიაში ინგლისელებს შეუერთდა და მათთან ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაშიაც კი მიიღო მონაწილეობა, რის გამოც ჩვენს კორპუსს ინგლისელებმა, ბიჩერახოვის მამაცობისათვის, მადლობაც კი გადაუხადეს. ჩვენსა და ინგლისელთ შუა ოსმალები მ[illegible] არ იყვნენ და ოსმალთა ფრონტი არ არსებობდა. [illegible] რიცხოვანი ჯარი ხსენებულ ადგილებიდგან მოსულში გადაიყვანეს, ასე რომ ამ მხრივ ბიჩერახოვს არავითარი საფრთხე მოელოდა. საშიში იყო მხოლოთ ისა, რომ ბიჩერახოვი თავისის რაზმით სრულებით მოსწყდა ჩვენს ჯარს და მასთან კავშირი დაკარგა, და უსურსათობისა და ქურთების თავდასხმის გამო, შესაძლებელი იყო, რაზმი სრულებით დაღუპულიყო.

ამ წლის თებერვლის დამდეგს ბიჩერახოვს კერმანშახში ვხედავთ. რათ გამოისტუმრეს ინგლისლებმა, არ ვიცი, მხოლოდ როდესაც ინგლისლებმა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ნებართვით, დაიწყეს ჩვენის კორპუსიდან მოხალისეთა ჯარის შედგენა, ბიჩერახოვიც თავის რაზმით მოხალისედ ჩაეწერა. მაგრამ როდესაც ამიერ-კავკასიის მთავრობამ შესწყვიტა მოხალისეთა ჯარის შედგენა სპარსეთში, ბიჩერახოვიც სამშობლოში უნდა წამოსულიყო და, თანახმად ბარათოვის ბრძანებისა, ის სულ ყველაზედ ბოლოს, 25 მარტს, გამოსულიყო ხვამადლებით ენზელიდან. ეს იყო რუსის უკანასკნელი სალდათი, რომელსაც უკანასკნელს უნდა გაეწმინდა და დაეცლო ვერანა ირანის სამეფო.

ამის შემდეგ არც სპარსეთში და აღარც რუსეთში ბიჩერახოვის არაფერი ისმის. მხოლოდ, როგორც მკითხველებმა იციან, ის მეორეჯერ ამოტივტივდა ბაქოში ქალაქის დამცველად, ბოლშევიკებთან ერთად და ისიც სოც.-რევოლიუციონერების ქერქში. ბაქოს ტრაგედიის შემდეგ ჩრდილო-კავკასიისაკენ მოკურცხლა.

ეხლა კი მესამედ მოგვევლინა ისევ ბაქოში, მაგრამ არა როგორც სოც.-რევოლიუციონერი, არამედ როგორც ამიერ-კავკასიის ჯარების სარდალი. ეს უკანასკნელი მისი ავანტიურა ყველაზედ უფრო საინტერესოა იმით, რომ ის, როგორც ძველ რუსეთში, „УКУПНИКЪ“-ის როლში გამოდის! ამიერ-კავკასიას რუსეთის ნაწილად აცხადებს და სარდლო[illegible] იჩემებს. ბიჩერახოვისთვის არც ბოლშევიკებს, არც მოხალისეთა ჯარს, არც უფის მთავრობას და არც სხვა რომელსამე რესპუბლიკას დაუვალებია ეგეთი მისია. ეს ფანტასტიური ავანტიურა ყურადღების ღირსიც არ იქნებოდა, რომ აქ საქმეს სულ სხვა სუნი არა სდიოდეს; ინგლისლები აზერბეიჯანთან შეთანხმდენ ბაქოში შესვლაზედ და, როგორც ხან-ხოისკი აცხადებს, ისინი შინაურ ცხოვრებაში არ ჩაერევოდენ და თათართა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არ იმოქმედებდენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლისელებთან ბაქოში შედის ბიჩერახოვიც, ამიერ-კავკასიას რუსეთის ნაწილად აცხადებს, თავის თავს კი მთელ შეიარაღებულ ძალების სარდლად. რა არის ეს? რას ფიქრობენ ინგლისელები ან და როგორ მოქმედობენ ჩვენი მეზობელი მაჰმადიანები? ამასაც, იმედია, მოკლე ხანში გავიგებთ.

არტილერისტი.

## ქართველ ოფიცრებს.

ქართველთა ფართო საზოგადოება გულის ფანცქალით შეჰყურებს დღეს ჩვენის ჯარის მოწყობის საქმეს.

შინ თუ გარეთ, მუდამ ჩვენის ჯარის ამბავს გვეკითხებიან. ყველას აინტერესებს მათი რიცხვი, მომზადებულება და დისციპლინა. დღე ისე არ გაივლის, რომ ჩვენს გაზეთებში წერილი არ დაიბეჭდოს ჯარის შექმნის შესახებ; ყველა თავის აზრს გამოსთქვამს ხოლმე და სცდილობს ამ მეტად საჭირო საქმეს თავის რჩევა-დარიგებით დახმარება გაუწიოს. წინეთ, საყვედურები გვესმოდა ჩვენის მთავრობის შესახებ და ბრალსა სდებდენ ჯარს არა ჰქმნისო; დღეს ეს საყვედურები აღარ გვესმის და უსაფუძლოცაა მისთვის, რომ მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს როგორმე ჩქარა შეჰქმნას ძლიერი რეგულიარული ჯარი. ამ მიზნით მეორე ამხანაგიც დაენიშნა სამხედრო მინისტრს.

დღეს სამხედრო საქმეს მეტად კარგი მცოდნე ხელ-მძღვანელნი უდგანან სათავეში. ჩვენი მოვალეობაა მათ ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ და ჯარის მოწყობისა და აღზრდის საქმე მტკიცე საფუძველზე დავაყენოთ. ამისათვის ქართველ ოფიცრებს უნარიც შესწევსთ. ვგონებ არც ერთ პატარა ერსა ჰყავს იმდენი ოფიცრები, რამდენიც ჩვენა. მე მარტო რიცხვზე არ მოგახსენებთ, თვისებითაც არ ჩამოუვარდებიან ჩვენი ოფიცრები სხვა ერის ოფიცრებს. ამ უკანასკნელ ომში, ქართველი ოფიცრები თვისის ცოდნითა და სიმამაცით გაითქვაენ და გმირ მამა-პაპათა სახელი აღადგინეს. აი დასამტკიცებლათ მაგალითებიც: 1916 წელს პეტროგრადში გახლდით; ნოემბრის 26 იქ მეტად ლამაზად დასურათებული ჟურნალი გამოვიდა: „სია გიორგის კავალერთა“ ამ ჟურნალში მოთავსებული იყო გვარები ყველა იმ ოფიცრებისა, რომლებმაც 1916 წ. 26 ნოემბრამდინ ბრძოლაში სიმამაცე გამოიჩინეს და წმიდის გიორგის ჯვრებით იქნენ დაჯილდოებულნი. ჟურნალს, სხვათა შორის, ქართველი ოფიცრების გვარებიც ამშვენებდნენ: სულ 56-ქართველ ოფიცრების გვარი იყო შიგ. ყველას ყურადღებას იქცევდა ძმათა, ფურცელაძეთა გვარები გიორგისა, ალექსანდრესი და ირაკლისა; მათზე ნაკლებ არც მათ მეოთხე ძმას ოთარს უსახელებია თავი 1914 წელს ნოემბერში, როდესაც მისს მცირე გუნდს გერმანელთა ათჯერ მეტმა ჯარმა ალყა შემოარტყა, ოთარ ფურცელაძე ისე გაუმკლავდა მტერს, რომ ძვირად დაუსვა თავს დასხმა თითონ ოთარი ტყვედ არ ნებდებოდა, მისი წაყვანა მაშინღა შესძლეს, როდესაც ხელ-ფეხი შეუკრეს.

ჟურნალში მკითხველის ყურადღებას აგრეთვე იპყრობდა პოლკოვნიკი ზაქარია ბაქრაძე, რომელიც 2 და 3 ხარისხის ჯვრით იყო დაჯილდოვებული, ძმანი ახვლედიანები, [illegible]ები და სხ. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჟურნალში მარტო ის ქართველი გმირები იყვნენ მოთავსებულნი, რომლებმაც თავი ისახელეს 1916 წ. ნოემბრის 26-მდის კიდევ რამდენი გმირი გვყავდა ჩვენ ოსმალეთის საზღვრებზე? გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორმა, კაცი-ჭამია სუვორინმაც კი, მიაქცია ყურადღება ჟურნალში ალნუსხულ ქართველ ოფიცრების გვარებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ჭირივით ეჯავრებოდა, დიდი სტატიაც კი უძღვნა მათ და ქებით და დიდებით მოიხსენია.

გარდა ამისა, არა-ერთხელ გამიგონია ტყვე გერმანელ ოფიცრებისაგან ქება ქართველ ოფიცრებისა.

ამ სამი თვის წინად სპარსეთის კონსულის მდივანმა მიამბო, თქვენს ოფიცრებს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენში და ჩვენს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს 300-ქართველი ოფიცერი მოიწვიოს „ინსტრუქტორებადო.“

ისედაც გამიგრძელდა სიტყვა ამ ომის დროს ქართველ ოფიცრების საგმირო საქმეთა მტკიცება არა სჭირია. მხოლოთ ჩვენთვის სამარცხვინო ის იქნება, რომ ასე მომზადებული ჯარი სისურველ ნიადაგზე არ დააყენონ. ვიბრძოდით მამინაცვლისათვის, ვიხოცებოდით, თავს ვისახიჩრებდით და ნუ თუ დღეს, თავისუფლებით ბედნიერნი, ჩვენ საყვარელ სამშობლოსათვის ვერ შევძლებთ თავ-გამოდებულ მუშაობა და ჯარის წინამძღოლობას!.. ძველად ბევრს ჩვენგანს თავი მოსწონდა სამშობლო ენის უცოდინარობათ, გვარებს იმახინჯებდნენ, ფანჩულიძევ, ავალოვ-ციციანოვ—უფრო მოსწონდათ, ვიდრე ფანჩულიძე ავალიშვილი და ციციშვილი ქართული ენა კიდევაც რომ სცოდნოდათ, განზეგ მალავდნენ და მით ჯილდოებს და დაწინაურებას ღებულობდნენ გული მომიკლა ამას წინედ ერთ ნაცნობის სიტყვებმა: „მადლობა ღმერთს, რომ ჩემი შვილი ქართულ ჯარში არ მსახურებს დენიკინის, ჯარი მოდის და პირნათლად მაინც შეხვდება მას.“ ასეთები, საუბედუროთ, ბევრნი მოიპოვებიან ჩვენში, მაგრამ, იმედია ჩქარა მიხვდებიან თავიანთ დანაშაულს. დღეს აღდგომის დღე დაგვიდგა, უნდა ვიგემოთ თავისუფლების სიტკბოება და ძველი სამარცხვინო გზა მივატოვოთ.

ბევრს ჩვენგანს გული აქვს გატეხილი იმის გამო, რომ ცოდნისა, წლოვანებისა ჩინების მიხედვით არ უჭირავთ შესაფერისი ადგილი. ერთმა ძველმა, მართლაც, საუკეთესო საქმის მცოდნე პოლკოვნიკმა შემომჩივლა: აბა, რა გულით უხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიმსახურო, როცა მეუბნებიან, ვიღაც პრაპორშიკთა შკოლა დამთავრებულ სამის წლის პოდპოლკოვნიკს დაემორჩილეო!.. ამაზე უნდა ვუპასუხო პატივცემულ პოლკოვნიკსა და ყველა მის თანამოაზრეთ, რომ თუ მათ აინტერესებსთ საქმე, სწამთ თავისუფალი სამშობლო და მისი ბედი, უნდა დაივიწყონ ყველა პირადი ინტერესები. თქვენს მონა მორჩილს, ამ სტიროქონების დამწერს, ძველი რეჟიმით მუხრუჭ—მოჭერილს, პირადად ჯერ-ჯერობით, გარდა უსიამოვნებისა და შეურაცყოფისა არა უგემნია რა, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ ამსიტყვების მიმდევარნი გახლავართ: „ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.“

მერწმუნეთ, რომ თუ მარტო პირად ინტერესებს ვემსახურეთ და თბილ ადგილებს ვუწყეთ ძებნა, საზოგადო საქმეს ვერ გავაკეთებთ.

ჩვენი ყაზარმები დღეს ერთგვარ ფაბრიკებს და ქარხნებს მოგაგონებენ. ფაბრიკებსა და ქარხნებში პატრონს მიაქვს ნედლ მასალა, მხოლოდ მუშების ცოდნაზე და მეყაითობაზეა დამოკიდებული ნედლი მასალის დამუშავება და კარგ საქონლის დამზადება. აგრეთვე ჩვენც მთავრობა ყაზარმაში გვიგზავნის ნედლ მასალას - მამულის საუკეთესო შვილებს; ჩვენზე კი დამოკიდებულია მათი აღზრდა-მომზადება და მათგან გაწვრთნილ ჯარის შექმნა. ნუ მეტყვით, რომ ეს შეუძლებელი იყვეს, მხოლოდ საჭიროა უნარის გამოჩენა და ეს კი, როგორც ზევითაცა ვთქვით, ქართველ ოფიცრობას. ერთს წუთსაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ირგვლივ შემოჯარულნი ვართ მტრებითა და შიგნით კიდევ ბნელი ძალები მუშაობენ ჩვენს სამშობლოში. ის რაც დღეს ადვილია, იქნებ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხვალ ძნელი გასაკეთებელი გახდეს. და ამიტომ ჩვენის გულგრილობითა თუ სიზარმაცით ადვილად შეგვიძლია სამარე გავუთხროთ მოპოვებულ თავისუფლებას და დღეს მკვდრეთით აღდგენილი სამშობლო სამუდამოთ დავასამაროთ.

ავ. აბესაძე.

---

## 1906 წელი

უხსოვარ დროიდგან სანატრელი ქვეყანა—საქართველო; უხსოვარ დროიდან სანატრელი ეროვნება—ქართველობა ცოტა სისხლში და გენიაში არ ჩაიხრჩო ამ წელიწადს. ხოცვა ქლეტა ბრალიანი და უბრალოსი, დაწვა—დაგვა რევოლიუციონერთა და არა რევოლიუციონერთა სახლკარისა, გაუპატივრება ახალგაზდებისა მოხუცებულებისა სასახელოდ და თავმოსაწონ საქმედ ეთვლებოდა აწ შავს სამარეს მიბარებულ რუსეთის „სახელოვან“ მხედრობისათვის.

ირგვლივ ტირილი და გოდება ისმოდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მიმოიფანტნენ ხალხის ერთგულნი და თავდადებულნი, ვინცკი გადაურჩა ჯაშუშებს და შავრაზმელთა ხითხითს. ულმობელ მთავრობის უხეში ძალა, უსამართლო ძალადობა დღესასწაულობდა უსინიდისო მდაბალ გამარჯვებას. ჰოი, მუხთალო სოფელო, ჩვენის ლვიძლ ძმების სისხლში ჩვენვე, ქართველ ოფიცრობას, გვასვრევინებდნენ ხელს!

თითქოს განგებ იყო მოწყობილი, რომ ალიხანოვის რაზმი თითქმის სავსე იყო ქართველ ოფიცრებით. იქნებ ამის ბრალიც იყო, რომ ამ დამსჯელმა რაზმა მთლად ჯოჯოხეთად არ აქცია ჩვენი ერის მოწინავე კუთხე - იმერეთი. მაგრამ დღემდი გულს მიკლავს და ვერ მიპატივებია სურთოდ ქართველ ოფიცრებისთვის, რომ ეს უმაგალითო რბევა დღისით-მზისით, საკუთარისავე ჯარებისაგან არ შეიქმნა რაიმე ისტორიულ ფაქტად ჩვენს ცხოვრებაში და დამაშვენებელ ფურცლად ქართველ ოფიცრების ცხოვრება-სამსახურში რუსეთის ტირანიის ხანაში.

გავცდი გვირაბს და ჩემს თვალებს წარმოუდგა ურდლოების თარეშის ხანის სურათები: მთელი გზა ფოთ-ბათუმამდე მოკიდებული ტირილს მოჰგვრის მნახველს, მარტო შავად შეტრუსული ბუხრები, უშნოდ აწვდილები ცისკენ, გიჩვენებდნენ სულ რამდენსამე დღეს წინედ სიცოც. და სიამით სავსე სოფლის ძდებარეობას. ცოცხალი არსება არსად სჩანდა, გარდა მშიერ ძაღლების [illegible]ატებისა და ჭკვაზე შეშლილ ქალე[illegible]ისა, რომ[illegible]თაც, როგორც აჯამეთის სადგურზე მოიმოქმედეს ველურ ყაზახთ, ქრმები, შვილები, ძმები და და მამები თვალ წინ დაუკლეს.

ვეღარ შევძელი ველურ მთავრობის ველურ რბევა-აწიოკების ატანა; სისხლი მეყინებოდა ტანში და ბრაზ მორეული მზად ვიყავ ვცემოდი პირველ შეხვედრილ ჯარის კაცს და ყელი გამომეღადრა... ტლანქ ძალას კბილის ღრჭენით თითი მოვუკაკვე გულში და ბრაზი ბოლმა ჩავანთხიე პროტესტი დიდ მნიშვნელოვან აქტად აღსიარა. იმ თხოვნაში, რომელიც იქვე ახალსენაკში დავსწერე.

ამ თხოვნით გამოვეშურე ქალაქისაკენ; გზაში ბევრ ქართველ ოფიცერს ვაჩვენე და გავუზიარე ჩემი აზრი. ბევრს მოეწონა და შემპირდა მოგიწერთ ხელსაო. ქალაქში მატარებლიდან პირდაპირ საქართველოს სახელოვან შვილს—ილია ჭავჭავაძეს მივატანე. იმანაც დასტური

დამცა, მიმიწონა განზრახვა და მხედრობის ასეთი პროტესტი.

მეორე დღეს კვლავ იმერეთში ვიყავ თეთრად გადაწერილი საპროტესტო თხოვნით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საქმე ველარ მოგვარდა.

ოფიცრებო, ამ აქტის უქონლობამ ჩვენს ისტორიაში ცხადად დაამტკიცა, თუ რას ნიშნავდა ასის წლის კირთების ქვეშ ყოფნა, ქართველურმა, მაღალ კეთილშობილურმა გრძნობამ წაიჩოქა რუსულ ჩინოვნიკურ გათახსირებულ სულის წინაშე.

იწამეთ მთელის თქვენი არსებით, რომ უკუნეთს ჩაჰბარდა ძალადობის მოციქული რუსეთი. რაც ვერ გავუკეთეთ სამშობლოს თანდათან თავის დროზე, დღეს ერთგულობით და გმირობით ათასჯერ ავუნაზღაუროთ ეს ჩვენი ცოდო და და უდევრობა.

ლ. ცაგარელი

# რა გზით უნდა ვიხსნათ თავი ფინანსიურ გაჭირვებისაგან

## III

ტაციობა, ცარცვა-გლეჯვა, ქურდობა, ავაზაკობა გადამდებ სენივით მოედო დღეს ჩვენს ქვეყანას: იპარავს სალდათი-დეზერტირი, იპარავს მოხელე, სახაზინო ქონებასთან დარაჯად მიყენებული, იპარავს სახელმწიფო მოხელე, საქმეზედ გულ-აცრუებული, იპარავს მუშა, რვა საათის მაგიერ რომ ოთხს მუშაობს, იპარავს ყველა უსირცხვილოთ, მოურიდებლათ, და რომ უსაყვედურებთ, რად სჩადიხარ ისეთ საქციელს, მოურიდებლათ გიპასუხებს —ყველა იპარავს და რომ არ მოვიპარო, როგორ ვირჩინო ან ჩემი თავი, ან ცოლ-შვილიო.

მდგომარეობა დამაფიქრებელია... დრო აღარ არის პარტიულ კინკლაობისა; ვისაც კი მეგნება აქვს, იცის, რა საშინელ უფსკრულისაკენ მიგვაქანებს ასეთი მდგომარეობა. საჭიროა მივიღოთ სწრაფი და რადიკალური ზომები სამშობლო-ქვეყნის სახსნელათ. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა საჭიროა აგრარულ რეფორმის გადაშინჯვა იმ მხრით, რა მხრითაც იგი ეწინააღმდეგება ხალხის სურვილსა და მისწრაფებას.

1) მიწა უნდა მიეცეს გლეხს საკუთრებად; ამას მოითხოვს თვით ხალხი; ეს საჭიროა, თუ რომ გვინდა ხალხის დამშვიდება;

2) მიწა, გლეხს რომ ეძლევა, ნასყიდობით უნდა იყოს შეძენილი სახელმწიფოს მიერ და ამნაირად გადაცემული გლეხზედ.

როგორც უკანასკნელად განაცხადა მიწად-მოქმედების მინისტრმა, მთავრობას განზრახული ქონია მიწის სათვასური გლეხს გამოადებინოს, ვისაც მიწა საკუთრებად ეძლევა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილება უმართებულოა და აი რატომ: ა) თუ აგრარული რეფორმის საჭიროება გამოწვეულია სახელმწიფო ინტერესებით, ამ რეფორმისათვის საჭირო ხარჯი უნდა გასწიოს სახელმწიფომ, ესე იგი საქართველოს ყველა მოქალაქემ და არა მარტო გლეხმა. რა გზით მოხერხდება, ყველა მოქალაქეს დაეკისროს ეს ხარჯი, ამაზედ შემდეგ იქნება ლაპარაკი.

ბ) თუ აგრარულ რეფორმას მიზნად აქვს დასახული უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხს მიწა გაუჩინოს, მთავრობა ვერ შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას, რადგან ყველა გლეხი ვერ შესძლებს მიწის სათვასურის გადებას, და მთავრობა იძულებული იქნება, ან ისევ შეძლებულ გლეხს შეასყიდოს მიწა, ან დაკლებულ ფასით დაუთმოს ღარიბ გლეხს, რაც სახელმწიფოს აზარალებს. გ) უეჭველია, რომ ახლო მომავალში ჩვენ მოგვიხდება ფინანსიურ რეფორმების მოხდენა. სახელმწიფოს ფინანსიური ვითარება კი მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრარულ რეფორმასთან, ამიტომ ამ უკანასკნელ რეფორმის განხილვის დროს უთუოდ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ის ფინანსიური რეფორმებიც, რომელსაც საფუძვლად აგრარული რეფორმა უნდა დაედოს.

3] მიწა, რომელსაც ეტყობა ჭკვიანი, მზრუნავი და მოსიყვარულე ხელის ალერსი, არ უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეს. ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი. უსამართლობაა წაერთვას ადამიანს ნაყოფი მის ნაშრომ-ნაამაგარისა, რაც შეადგენს საკუთარების ფორმას წმიდათა წმიდას. სისხლის სამართლის კანონებში ერთი დიდმნიშვნელოვანი სიბრძნეა აღიარებული მსაჯულთა სახელ-მძღვანელოთ: სჯობს ათი დამნაშავე შეცდომით გაამართლოთ, ვიდრე ერთი უდანაშაულო შეცდომით დაისაჯოს. ეს სიბრძნე მარტო ჰუმანიტურ გრძნობით არ არის ნაკარნახევი, არამედ მას აქვს ღრმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. უსამართლოთ დასჯილი ადამიანი ვერ შეურიგდება თავის ბედს, იგი მუდმივ იბრძოლებს და ამ ბრძოლას შთამომავლობას უანდერძებს. სახელმწიფო მოღვაწე არ არის ღირსი ამ სახელის ტარებისა, თუ მას კარგათ არა აქვს შეთვისებული უაღრესად დიდი მნიშვნელობა სამართლიანობის დაცვისა არამც თუ წოდებათა და კლასთა ბრძოლის დროს, არამედ მაშინაც, როდესაც სამართლიანობა ირღვევა კერძო პირის მიმართ.

საილიუსტრაციოთ ერთ მაგალითს მოვიტან: ამ ოცდა ათი წლის წინად, თუ უფრო ადრე, ერთ ღარიბ აზნაურიშვილს აზრათ მოუვიდა ხეხილის ბაღის გაშენება; მიყიდ-მოყიდა, გაცვალ-გამოცვალა რაც რომ მიწის ნაჭრები ქონდა, გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან საუკეთესო ჯიშის ნამყენები და შეუდგა საქმეს. მეზობლები საცინლად იგდებდენ: საწყალი, გაგიჟდა, გასულელდაო, ჩვენ დორებს ვაჭმევთ ვაშლსაო და იმას კი ვაშლით ფულის მოგება უნდაო. მაგრამ მალე ნახეს, რომ იმის ვაშლებს მუშტარი თან და თან ემატებოდა დი ვაშლებ. ის ფასი თან და თან იზრდებოდა. რადა ბევრი გავაგრძელო, გიჟი პიონერი, ბოლოს, ძალიან ჭკვიანი გამოდგა; მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და არ გასულა 20-25 წელიწადი, რომ მთელ იმ მხარეს ბაღები მოეფინა; გაჩაღდა ხილეულობი ვაჭრობა და გლეხი, რომელსაც წინად თუმანი ენატრებოდა, ესლა ას თუმნობით ატრიალებდა.

დღეს ასეთ ადამიანს ეუბნებიან, შენი გაშენებული ბაღი უნდა ჩამოგართვათ ჩამოგიჭრათო! როგორ? ეს ხომ მისი სხეულის ჩამოჭრაა! ის ცოლ შვილსაც არ მოეკიდა, რომ მის სიცოცხლეს ხელის შემშლელი არ უთლოდა. იმისი ცოლიც და შვილიც-აი ეს ხეხილი იყო, თითო-თითო, დარგული, შვილივით მოვლილი და აღზრდილი, და ეხლა უნდა წაართვან! რომელი სახელმწიფო ინტერესები მოითხოვენ ამას? რომელი ადამიანი შეურიგდება ასეთ უსამართლობას? და თუ ადამიანი ვერ შეურიგდება ასეთ სამართალს, რომელი სახელმწიფო მოღვაწე მოინდომებს, რომ საუკეთესო მოქალაქენი, თავიანთ პატიოსან შრომით, ცოდნით და ენერგიით რომ ქმნიან კულტურას, ამღიდრებენ სახელმწიფოს, შეურიგებელ მტრებად გაიხადოს! არა, ამ მხრივ აგრარულს კანონს გადამინჯავ სჭირია.

* * *

მე შევეხე აგრარულ რეფორმას იმდენად, რამდენადაც ცხოვრებაში გატარება მისი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმ ფინანსიურ რეფორმის განსახორციელებლად, რომელზედაც ეხლა გვექნება ლაპარაკი.

მე ვსთქვი, რომ ფინანსიურ კრიზის ასაცილებლად, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ამომაძრავებელი გზა გაეხსნას სხვა-და-სხვა ხელში დაგროვილ ფულს. ფულის ამოძრავება კი ნიშნავს საზოგადოებრივის ცხოვრების გაცხოველებას. მაგრამ რა ქმნას ჩვენმა მთავრობამ, რა ქმნას ჩვენმა ფინანსების მინისტრმა, როდესაც ერთად-ერთი საბეჭდავი მაშინა, რომელზედაც ამყარებს იგი თავის საფინანსო მოქმედებას, არ შეუძლიან მოიხმაროს თავისუფლად, იმიტომ რომ ბონების ბეჭდვის ნებართვა უნდა აიღოს მეზობელ რესპუბლიკების მთავრობათაგან.

ყოველთვის, როცა კი აღძრულა საკითხი საკუთარ ფულის ნიშნების გამოშვების შესახებ, ჩვენს მმართველ წრეებში ერთგვარ შიშსა და ეჭვს ამჟღავნებს ეგრეთ წოდებული უმრავლესობა და უარყოფს ჩვენი საკუთარ ფულის ქონება არ შეადგენდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აუცილებელ საჭიროებასა და უფლებას. წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რაც ადვილი წარმოსადგენია, რომ აღერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკებმა აღარ მოისურვეს ახალ ბონების გამოშვება. ხომ ერთ დღესაც არ შეუძლიან ჩვენ სახელმწიფოს უფულოდ გაჩერება; რა მოიქმედა ასეთ გარემოებაში ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ? განა ხალხს დაეკითხა, მიიღებ ამიერ კავკასიის ბონებსაო? რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკა მართლა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რამდენადაც მისი მთავრობა მართლა მთავრობად არის მიჩნეული ხალხისაგან, მას არ შეუძლიან იარსებოს, თუ რომ სახელმწიფო ფული არ გამოუშვა შინაურ აღებ-მიცემობის ხელის შესაწყობად. სულ სხვა კითხვაა, თუ რა ღირებულობას მისცემენ ამ ფულს საზღვარ-გარედ; ამ კითხვას ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით, ეხლა კი ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვიაროთ, რომ საქ. დ. რესპუბლიკის მთავრობის სრული იურიდიული, თუ გნებავთ ზნეობრივი ძალუფლება აქვს საქართველოს საზღვრებში საკუთარი ქართული ფულის ნიშნები დაატრიალოს. ასეთ ფულის ნიშნების ღირებულების აღნიშვნაც ჩვენი შინაური საქმეა. მისი ადგილობრივი ფასი შინაურ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაზედ იქნება დამყარებული ისე, როგორც ფრანგულ ფრანკის, გერმანულ მარკის და რუსულ რუბლის ფასი საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის ადგილობრივი ეკონომიურ და საზოგადო პოლიტიკურ ვითარებაზედაა დამყარებული.

ამიერკავკასიის ბონების ხმარებას დროებითი მნიშვნელობა აქვს. მისი ხმარება გამოწვეული იყო რუსულ ფულის ნაკლებობით, ხალხს დღესაც ისე ჰგონია, რომ ის გადაცვლილ უნდა იყოს რუსულ ფულებად. ასეთი იყო თავდაპირველად ამიერკავკასიის ბონების დანიშნულება? მაგრამ მას შემდეგ, რაც ამიერკავკასია და შემდეგ იმისა საქართველოც სრულებით გამოეყვნენ რუსეთის ყოფილ სახელმწიფოს, ბონებს დაეკარგა ეს პირველი დანიშნულება, იმიტომ რომ რუსეთის მთავრობა სრულიად ვალდებულად არ ჩასთვლის თავის თავს, ჩვენ რომ მილიონობით ბონები ვბეჭდოთ, იმან თავის ფულზედ გადაგვიცვალოს. მდგომარეობა მეტად არა-ნორმალურია. დამოუკიდებელი სახელმწიფო სჭრის და უშვებს ფულს ბონების სახით და ასეთ ფულების ღირებულობა კი შეფასებულია უცხო სახელმწიფოს ფულის ღირებულობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ შექმნილი ფინანსიური სისტემა დაკავშირებულია უცხო სახელმწიფოს ფინანსიურ ვითარებასთან. მაგალითად, ხვალ რომ აღმოჩნდეს, რომ რუსეთის ხაზინაში ერთი ოქროც არ მოიპოვება და რომ, სამაგიეროთ, რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას ასი მილიარდი მანეთის ფულის ნიშნები გამოუშვია, რუბლი გროშადაც არ ეღირება და ამის გამო ამიერკავკასიის ბონებიც ამაზედ მეტად არ ეღირება. და ჩვენი ხალხი, რომლის მთავრობას არავითარ ბრალი არ მიუძღვის რუსეთის ბოლშევიკურ მართვა-გამგეობაში, უნდა გაკოტრდეს, გაღარიბდეს და დაუბრუნდეს იმ პირველყოფილ ხალხთა ეკონომიურ მდგომარეობას, რომლისაკენაც ბოლშევიკები რუსის ხალხს მიაქანებენ. თუ ასეთ შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, მაშინ ნათლად დავინახავთ სწრაფ, რადიკალურ ზომების მიღების საჭიროებას, რათა თავიდგან ავიცილოთ ეს საშინელი კატასტროფა.

ასეთ საშურ ზომებად მე მიმაჩნია დაუყოვნებლივ საკუთარ ფულის მოჭრა და მასთან დაკავშირებულ სესხის აღება, სხვა და სხვა გადასახადების უმტკივნეულოდ აკრება და სამრეწველო და ვაჭრობის განსავითარებელ ფონდის შექმნა. ასეთ ზომებით, მე ვფიქრობ, მივაღწევთ ისეთ ნორმალურ ფინანსიურ მდგომარეობას რომელიც საძირკვლად დაედება ჩვენის ეკონომიურ ცხოვრების ვითარებას.

ვსთქვათ, რომ რამე გზით ნაშოვნი გვაქვს საჭირო ოქროს ფონდი და გადავსწყვიტეთ საკუთარ ფულის მოჭრა. პირველ ყოვლისა უნდა შევიმუშავოთ საკუთარ ფულის სისტემა. ყველა დამეთანხმება, რომ მთავარი, ანუ ძირითადი ერთეული ქართულ ფულის სისტემისა, ჩვენის პატარა სახელმწიფოს შესაფერისი უნდა იყოს და არა ისეთ დიდ ღირებულობისა, როგორიც არის რუსული „რუბლი“. ამ მთავარ ერთეულს ისეთი სახელი უნდა ვუწოდოთ, რომ ხალხისათვის ადვილი შესათვისებელი იყოს. ასეთ სახელად, მე ვფიქრობ, გამოდგება „ქართული თეთრი“, ანუ მოკლედ „თეთრი“, რომლის ხმარება ჩვენს ქვეყანაში ხალხს კიდევ ახსოვს შეიძლება სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესი სახელი მოიპოვებოდეს; სახელის შერჩევაზედ ამ ჟამად აქ არ შევჩერდები. ქვემოდ მოყვანილი მაქვს ქართულ ფულის სისტემის სქემა. როგორც მკითხველი შეამჩნევს, იგი ნასესხებია ფრანგულ სისტემისაგან.

| | |
|---|---|
| ვერცხლის ფული | 5 თეთრი წონა 25 გრ. |
| | 2 თეთრი წონა 10 გრ. |
| | 1 თეთრი წონა 5 გრ, |
| | $1/2$ თეთრი ანუ აბაზი წონა $2\,1/2$ გრ. |
| | უზანთული$=1/2$ აბაზი$=1/4$ თეთრი წ. $5/4$ გრ. |
| სპილენძის ფული | 1 ფული$=1/100$ თეთრისა |
| | 10 ფული$=1/10$ თეთრისა, ანუ შაური |
| | 25 ფული$=1/4$ თეთრისა$=1/2$ აბაზი |
| ოქროს ფული | 1 ოქრო= 10 თეთრი, წონა 3,226 გრ |
| | 2 ოქრო= 20 თეთრი, წონა 6,452 გრ. |
| | 10 ოქრო=100 თეთრი, წონა 32,26 გრ. |

ეს ფულის სისტემა მაგალითად მოვიყვანე, რომ უფრო მარტივი იყოს ამ სისტემაზე დამყარებული ანგარიში.

კითხვა, თუ რამდენი ფულის გამოცემა დაგვჭირდება, დამოკიდებულია იმ ფულის რაოდენობაზე, რომელიც დღეს საქართველოს საზღვრებში ტრიალებს და გადაცვლილ უნდა იყოს ახალ ქართულ ფულზე. ფულის გადაცვლა მოითხოვს მათის ღირებულობის შეფასებას და დაპირდაპირებას. რა საზომით უნდა მივუდგეთ ამ შეფასებას? დღეს ვისაც უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, რომ მანეთი თითქმის ერთ გაპიკის ალაგს იჭერს; ყოველ შემთხვევაში, მისი ფასი შაურს არ აღემატება; ესე იგი, რასაც წინად შაურად ვყიდულობდით, ეხლა მანათი უნდა მივცეთ და, ხშირათ, ხუთი მანეთიც. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ მანეთის ღირებულობა, ოქროსთან შედარებით, ერთი ოცათ, ან ერთი-ასათ დაეცა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. განსხვავებული ადგილობრივი პირობები, ეკონომიურ ურთიერთობის დარღვევა სხვა და სხვა ქვეყნებს შორის ქმნიან განსხვავებულ ღირებულობას პირველ საჭიროებათა ნივთებისას. ამიტომ არის, რომ საქართველოში დღეს რომ პური გირვანქა ხუთ მანეთად ღირს, იგივე პური, მაგალითად, ეკატერინოდარში ერთი აბაზია, ოდესაში ღირს ათ შაურად და პეტროგრადში, როგორც ამბობენ, ორ თუმნად. ცხადია, ასეთ საზომით ჩვენ არ შეგვიძლიან მივუდგეთ ჩვენის ბონების ღირებულობის შეფასებას. ნორმალურ პირობებში რომელისამე სახელმწიფოს ქაღალდის ფულის ღირებულობა დამოკიდებულია ამ სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაზე რამდენადაც ეკონომიურად ხალხი ღონიერია, რამდენადაც პოლიტიკური მისი სახელმწიფოებრივი წესწყობილება მკვიდრ ნიადაგზედაა დამყარებული, მით მის ქაღალდის ფულის ნიშნებს მეტი ნდობა და ფასი აქვს მოპოებული. ამგვარათ, პატარა ბელგიის სახელმწიფოს ქაღალდის ფული იმნაირათვე ფასობდა, როგორც ეკონომიურათ მძლავრ საფრანგეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის სახელმწიფოს ოქროს ფონდი 12% არც კი შეადგენდა ქაღალდის ფულის თანხისას. ამიტომ, შეცთომა არ იქნება გსთქვათ, რომ ოქროს ფონდი ზედმეტი ბალასტია ისეთ სახელმწიფოსათვის, რომლის სავაჭრო ბალანსი უცხო სახელმწიფოებთან მის სასარგებლოდ არის გადახრილი. ეს კარგად დავიმახსოვროთ.

არ შეიძლება, აგრეთვე, რუსულ ფულის შეფასებაში ვიხელმძღვანელოთ იმ დროებითის ხელშეკრულობით, რუსეთსა და გერმანიას შორის რომ დაიდო და შემდეგ გერმანიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის. ამ ხელშეკრულობის ძალით, რუსული რუბლი, ისე, როგორც ამიერკავკასიის ბონები, შეფასებული იყო 80 ფენინგათ. მაგრამ თვით გერმანიის ქაღალდის ფულის ფასმა, ოქროზე შეფასებულმა, საგრძნობლათ დაიწია და დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში მეტად ძნელია მეომარ სახელმწიფოთა ქაღალდის ფულის ღირებულობის დამყარება, რადგან ეს ღირებულობა მუდმივ რყევაშია და მჭიდროდ დაკავშირებული ამ სახელმწიფოთა სამხედრო თუ პოლიტიკურ ვითარებასთან. ასეთ პირობებში რუსეთისათვის, რომელსაც ყველა უცხო სახელმწიფოებთან შეწყვეტილი აქვს ეკონომიური ურთიერთობა, დიდ სიძნელეს წარმოადგენს ზედმიწევნით შეფასდეს მისის ქაღალდის ფულის ღირებულობა. ამიტომ იძულებული ვართ ჩვენი ბონების ღირებულობა დავამყაროთ იმაზე, თუ როგორ ფასობს დღეს ჩვენს ქვეყანაში ოქრო. რუსული ოქროს ხუთმანეთიანის ფასი 50 მანეთია ქაღალდის ფულით, ფრანგულ ლუიდორისა 70—75 მანეთი; თვით ამიერკავკასიის ბონები 10% დაბლა დგას რუსულ ფულზე. ამ ფასებს ერთი შენიშვნა უნდა გავუკეთოთ: ოქროს ფასიც დაეცა იმავე ეკონომიურ მიზეზების გამო, რა მიზეზითაც დაეცა ქაღალდის ფულის ფასი, ესე იგი, ნაწარმოებ ნივთების შემცირების გამო. მაგრამ, სამაგიეროთ, ცალკე სპეკულიაციის მიზნით და ცალკე იმ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, რომელშიაც მთელი ქვეყანა იმყოფება, ყველა ფულის პატრონი ცდილობს უზრუნველჰყოს თავის მომავალი და ოქროზე გაანაღდოს თავის მოძრავი ქონება, რადგან დარწმუნებულია, რომ ოქროს, ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს, თავისი ფასი არ დაეკარგება. ეს უკანასკნელი გარემოება დიდ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ოქროს ფულის ღირებულობის ზრდაში. თუ ამ უკანასკნელ მოსაზრების მიხედვით შესწორებას შევიტანთ ზემოაღნიშნულ ოქროს ფასებში, მაშინ უნდა ვიანგარიშოთ, რომ რუსულ ოქროს ხუთმანეთიანის ფასი ნამდვილად არ უნდა აღემატებოდეს 40 მან. და ლუიდორის—60 მან. და ესეც იმ შემთხვევაში, თუ რომ რუსეთის ყოფილი მოკავშირენი არ მოისურვებენ მთლად გაკოტრებულად გამოაცხადონ რუსეთის სახელმწიფო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხალხი უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ თავის მოძრავ ქონებიდან რუსულ ფულად და ბონებით, ხელთ რომ უჭირავს, მან უკვე დაჰკარგა $7/8$, და თუ ჩვენმა მთავრობამ თავის დროზე არ მიიღო შესაფერისი რადიკალური ზომები, ხალხს, შეიძლება, თავის ქონების ეს უკანასკნელი მერვედიც დაეკარგოს.

თუ ამ ფასებზე დავამყარებთ ჩვენს ანგარიშებს, მაშინ ქართული ოქრო ეღირება ბონებით 30 მან., ანუ თითო ქართული თეთრი 3 მან.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უდიდესი ნაწილი ამიერკავკასიის ბონებისა საქართველოს საზღვრებში ტრიალებს და იმასაც, რომ ბევრი შეძლებული ხალხი უცხო ტომისა ტფილისში ბინადრობს, გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ იმ ფულის თანხა, საქართველოში რომ ტრიალებს ბონებისა

და რუსული ფულის სახით, უდრიდეს იქნება 600 მილიონ მანეთს; ამ თანხის გამოსასყიდათ დაგვჭირდება 20 მილიონის ქართული ოქრო, ანუ 200 მილიონი ქართული თეთრი, რაც უდრის 200 მილიონ ფრანგულ ფრანკს, ანუ კიდე 75 მილიონ რუსულ ოქროს მანეთს. ეს ის თანხაა, რომელზედაც უნდა დავამყაროთ ჩვენი ფინანსიური ანგარიშები. ეს ფულის თანხა თითქმის სამჯერ აღემატება იმ ფულის თანხას, რომელიც ომის წინ ნორმალურ პირობებში ჩვენს ქვეყანაში ტრიალებდა, რაც იმით აიხსნება, რომ ორი წლის განმავლობაში ხალხს სახელმწიფო გადასახადები არ გაუღია და, სამაგიეროდ, მთავრობას ამ ხნის განმავლობაში გადაჭარბებულ ხარჯების გაწევა მოუხდა.

შესაძლებელია, ვსცდებოდეთ ბონების შეფასებაში, შეიძლება, ჯამი იმ ფულისა, საქართველოს საზღვრებში რომ ტრიალებს, ჩემს ნაანგარიშევზე მეტი ან ნაკლები იყოს; ამას ცალკე კომისია გამოარკვევს და დაადგენს. ჩვენა გვსურს მხოლოდ კონკრეტულ პირობებში გავითვალისწინოთ შედეგი იმ საფინანსო ოპერაციებისა, რომელზედაც შემდეგს წერილში გვექნება ლაპარაკი.

პ. ყ ანი

## ქართულ ჯარში

ჩვენს ქართულ ჯარში სამსახური, ცხადია, არ უნდა ჰგვანდეს რუსის ყაზარმებში სამსახურს, სადაც ადამიანი უპიროვნებო არსებად იქცეოდა ხოლმე, ძანეკენს წაავავდა და „ტაკ ტოჩნო"სა და „ნიკაკ ნეტ"-ის მეტის თქმა არ შეეძლო ან ვერ მოეხერხებინა.

ქართულ ჯარში სამსახური შეგნებული, სასიამოვნო და სახალისო სამსახური უნდა იყოს. ყოველი ოფიცერი, უპირველეს ყოვლისა, თვით უნდა იყოს სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, რომ შესძლოს ჯარის-კაცსაც შეაგნებინოს და შთაუნერგოს სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის საჭიროება. შეგნებულმა ოფიცერმა ნათლად უნდა დაუხატოს ჯარის-კაცს ის დიადი სამსახური, რომელსაც ჰქვიან სამშობლოს საზღვრების დაცვა, სამშობლოს ყოველ გვარი „შინაურ" თუ გარეულ მტრის ალაგმვა.

თუ ხაწილის უფროსი კეთილ შობილი პატრიოტია, ეს გარემოება ბევრის რისამე თავდები იქნება, ასეთი ნაწილი, თვით ასეთ გარდამავალ ხანაში, ასეთ ახალგაზრდა სახელმწიფოს გასამაგრებლათ ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი იქნება. ამა თუ იმ ნაწილის უმფროსს მთელი თავისი უმცროსი თანამსახურნი უნდა ემორჩილებოდენ არა მარტო შიშით, არამედ პატივისცემით. სამხედრო სამსახურში უფროსის თხოვნაც კი ბრძანებაა უმცროსათვის, ნაწილის უფროსს ბრძანება-განკარგულება კანონი უნდა იყოს უნცროსთათვის, სანამ იგი ბრძანება არავის გაუუქმებია.

ნაწილის უფროსმა რომ მტკიცეთა ბრძანოს ქართულად იყოს „კომანდობა," ლაპარაკი საკანცელიარო მიწერ-მოწერაო იქ დაუყონებლივ გატარდება ეს ცხოვრებაში, რადგან ჩვენა გვჯერა, რომ თვით ამ არეულ ხახაში, ქართველ ოფიცერს მტკიცეთ შერჩენია დისციპლინა.

ჩვენის აზრით, დისციპლინა ძლიერ წააგავს ზრდილობას. ვინც ზრდილობის კანონებს ემორჩილება, ის ადვილად ითვისებს და ეგუება ელემენტარულ დისციპლინის კანონებს. ჩვენ ვამბობთ, რომ დისციპლინა თითქმის იგივე ზრდილობაა. უზრდელი ადამიანი იგივე უდისციპლინო ადამიანია.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ქართული ზრდილობა მოითხოვს უმცროსი უფროსს დაჯდომილი, მით უმეტეს წამოწოლილი, არ ელაპარაკოს, უადგილო ადგილას ლაპარაკში არ ჩაერიოს, სიტყვა მკვახეთ და ტლანქად არ შეუბრუნოს; თუ ზის და მეტი ადგილი არ არის უფროსს დაუთმოს და სხვა და სხვა. ასე იყო და ასეა არა მარტო სამხედრო პირთა შორის, არამედ მთელს საქართველოში. თითო ოროლა გამონაკლისს, მახინჯებს რომ თავი დავანებოთ, ვიტყვით, რომ საერთოდ ზრდილობიან ხალხთან გვაქვს საქმე და ეს ქართული ზრდილობა იმედს გვაძლევს, რომ ჯარშიაც მალე სრული დისციპლინა აღსდგება, ვიმეორებ, დისციპლინა არა ყაზარმული, რასაკვირველია.

მშობლები და ოჯახი ჯარში რომ შვილს ისტუმრებენ, უნდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი შვილი ერთგვარ შკოლაში მიდის, სადაც შეისწავლის წერა-კითხვას, ანგარიშს, გეოგრაფიას და სამშობლო ისტორიას; შეიძენს ცოდნას, გამოცდილებას და ზრდილობის მხრივაც, თუ იგი ტლანქი და მოუხეშავია, გაშალაშინდება.

თუ ჩვენი ოფიცრები თითონ სათანადო მომზადებულნი იქნებიან და კეთილ მასწავლებლობას გაუწევენ ლაშქარში გაწვეულ სოფლის შვილებს, ამ დიდ ბავშვებს, მერწმუნეთ, დეზერტირობას ეგრე რიგად არ ექნება ადგილი და თუ ექნება, მაშინ უფრო უნდა ველოდეთ, რომ არა მარტო სოფლის კომისრები, თვით საზოგადოება და მშობლები დააბრუნებენ ნაწილში ასეთ შეუგნებელს, რომელიც შემდეგში, შეიძლება ფრიად სასურველი და სასარგებლო წევრი შეიქნეს ამა თუ იმ საზოგადოებისათვის. თუ წყლის სათავე თავიდან უნდა გაკეთდეს, ჩვენის ჯარის საქმეც ოფიცრებიდან უნდა გაკეთდეს. დაუყენოთ სათავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩვენს ჯარს კარგი ოფიცრები, კიდევ კარგი ოფიცრები და ისევ კარგი ოფიცრები.

თუ მთავრობა ოფიცრებს ენდობა და ოფიცრები მთავრობას, მაშინ საქართველოს განმტკიცების და აღორძინების დროს მალე ვიხილავთ. ასე უნდა მოეწყოს და ამ გზით უნდა ვიაროთ, თუ გვჯერა, რომ მილიტარიზმი არც ეგრე მალე და ადგილათ მოკვდება ამა ქვეყნიერებაზე რადგან ხალხი მამა აბრაამის ბატკნებად ვერ გადიქცევიან, რომლებიც ჩვენსას და თქვენსას ვერ გაარჩევენ ან არ გაარჩევენ.

მ ხნ ლი.

# მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შუა მე-XVIII საუკუნეში.

I

საქართველოს მდგომარეობა მე-XVIII ს. დასასრულს, მეფე არჩილი; აჯანყება სპარსეთში, რუს ვაჭრების გაძარცვა ქ. შემახში და სპარსეთში ვოლინსკის გამგზავრება; ომი რუსეთ-საქართველო და სპარსეთს შუა 1722 წ. ვახტანგისადმი შაჰის მიმართვა; პეტრე დიდის მოსვლა აშტარხანში და დარუბანდში; არზრუმის ფაშის და შაჰის მიმართვა ვახტანგისადმი; პეტრეს დაბრუნება და ომის შეწყვეტა; შაჰი ტახმასპი მიმართავს ვახტანგს დახმარებისთვის; არზრუმის ფაშის 20 ათას ჯარითურთ შემოსვლა ქართლსა, და კახეთში; ვახტანგის წასვლა მოსკოვში; ვახტანგი სპარსეთში და რეშტის ტრაქტატი 1732 წ.; ოსმალეთის ომი სპარსეთთან 1733 წ. და უკანასკნელის გავლენა საქართველოზე; ერეკლე—აღმოსავლეთ საქართველოს მეფე.

რას წარმოადგენდა საქართველო მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს? საქართველო გაყოფილი იყო ორ ნაწილად. დასავლეთი საქართველო, რომელსაც სამცხე-საათაბაგო-იმერეთ-სამეგრელო-გურია და აფხაზეთისაგან შესდგებოდა, ოსმალეთის გავლენის ქვეშ იყო; აღმოსავლეთი საქართველო კი სპარსეთის გავლენის ქვეშ.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს რუსეთის მთავრობამ უკვე საკმაოდ გაიცნო საქართველო. ამას ხელს უწყობდა ქართველ მეფეთა მიწერ-მოწერა და აგრეთვე ცნობანი, რომელთაც რუსეთში მცხოვრებნი სამეფო გვარეულობის პირნი აწვდიდნენ რუსეთის მთავრობას. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის მეფე არჩილს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს მოსკოვში დასახლდა. ქართულ ლიტერატურაში არჩილი ცნობილია როგორც სასულიერო და საერო მწერალი, მშვენივრად იცოდა ოსმალეთის და სპარსეთის მდგომარეობა, იცოდა აგრეთვე ძალა კავკასიაში მობინადრე პატარა ერებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე დიდი მეფე არჩილის შემწეობით ბევრ საგულისხმიერო ცნობებს შეჰკრებდა კავკასიაში მცხოვრებ ერების შესახებ. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ათასებდა მე არჩილს პეტრე დიდი. არჩილის შვილი, ალექსანდრე, 1697 წ. პეტრემ გაგზავნა დასავლეთევროპაში სამხედრო მეცნიერების შესასწავლათ; რუსეთში დაბრუნებისას კი ის დანიშნულ იქმნა რუსეთის ჯარი ფელდცეხმეისტერად (ესე იგი, მთელ არტილლერიის უფროსად),*) მაგრამ 1700 წ. ნარვთან ომის დროს ტყვედ წაიყვანეს და 1710 წ. გადაიცვალა ქ. რიგაში.

ძნელი საფიქრებელი იყო, რომ მოსკოვში მეფე არჩილის დასახლების შემდეგ რუსეთ და საქართველოს შუა მიმოსვლა მალე განახლდებოდა. მაგრამ მეთვრამეტე ს. დასაწყისს კავკასიაში პოლიტიკური გარემოება შეიცვალა და ამან რუსეთ-საქართველოს დაახლოვებას ხელი დიდათ შეუწყო.

1712 წ. შაჰის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. ამჯანყებლებმა ლეკები შემოიერთეს და ძარცვა-გლეჯა დაიწყეს. ქ. შემახში, სხვათა შორის, რუსი ვაჭრებიც გაძარცვეს და ბევრ მათგანს სასიკვდილოდაც სცემეს*)

პეტრე დიდმა, ჯერ კიდევ 1710 წ. სპარსეთის შაჰის თანხმობით, სომხებთან შეჰკრა კონვენცია, რომლის ძალით უკანასკნელთ რუსეთში აბრეშუმი უნდა შემოეტანათ, მაგრამ აჯანყების შემდეგ ვაჭრობა შეწყდა. და ამ გარემოებამ სპარსეთთან ომი გამოიწვია.

ცნობილია, როგორ ოცნებობდა პეტრე დიდი ვაჭრობის გაფართოვებისა და ფლოტის გაძლიერების შესახებ. მას არ აკმაყოფილებდა თეთრ ზღვის ფლობელობა. განიზრახა ბალტიის ზღვის პირად მდებარე ადგილების შემოერთება; მაგრამ ამ მიზნის განხორციელება შესაძლო გახდა მხოლოდ 1725 წ. პეტრემ თვალები მიაპყრო სხვა ადგილებს: შავ და კასპიის ზღვებს. შავი ზღვის პირად მდებარე ადგილების დაპყრობა იმ დროში ძალიან ძნელი იყო. ამიტომ პეტრემ ყურადღება მიაქცია კასპიის ზღვის პირათ მდებარე ადგილებს, სპარსეთს რომ ეკუთვნოდა. კასპიის ზღვის პირად ქვეყნების შემოერთება რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანდა პოლიტიკურად და უფრო კი ეკონომიურად. კასპიის ზღვაში ბატონობა რუსეთს საშუალებას მისცემდა თავისუფლად ევაჭრნა აღმოსავლეთის ერებთან, ვინაიდან აქედან პირდაპირი გზა მიდიოდა ინდო-სპარსეთსა და ამიერ-კავკასიაში. დაპყრობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ამ ზღვის ახლო საქართველო მდებარეობდა, რომელთანაც რუსეთმა, დიდი ხანია, მისვლა-მოსვლა დაიწყო და ამას კიდევ ამიერ და იმიერ კავკასიაში მცხოვრებ ერთა საფუძვლიანი გაცნობა მოჰყვა. რუს ვაჭრების გაძარცვამ აიძულა პეტრე სპარსეთთან ომი დაეწყო.

1715 წ. პეტრე დიდმა გაგზავნა სპარსეთში პოდპოლკოვნიკი არტემ ვოლინსკი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მისი დანიშვნის მიზანი სპარსეთთან სავაჭრო ტრაქტატის შეკვრა იყო. მაგრამ ნამდვილად კი მას საიდუმლოდ დაევალა შეეკრიბა ცნობები სპარსეთის შინაურ მდგომარეობის

*) იხ. Эсадзе. Первый фельдцехмейстер русской армiи, изд. 1913 г.

*) Бутковъ Матерiалы для Новой исторiи Кавказа Петербург 1869 г. тI стр. 3

შესახებ, მის სამხედრო ძლიერებაზე, შეედგინა გეგმა ქალაქების, ციხეების და საზღვრების მდებარეობისა*)

შემდეგს წელში ხელ-მეორედ ამ მიზნით გაგზავნა ქ. ქივაში თავადი ჩერკასკი და პორუჩიკი კოჟინი,—პირველი ამუდარიის მდინარის და მეორე კასპიის ზღვის პირად მდებარე ადგილების შესასწავლად და რუკის შესადგენათ[2])

სპარსეთში ვოლონსკის წასვლამ სარგებლობა მოიტანა: შაჰმა გასცა ბრძანება, რომ რუს ვაჭრებისთვის ვაჭრობაში ხელი არავის არ შეეშალა.

1720 წ. მარტის 22-ს პოლპოლ. ვოლინსკი აშტარხნის გუბერნატორად დაინიშნა, საიდუმლოდ ებრძანა მომავალ ომისთვის მომზადებულიყო. დაავალეს აგრეთვე განეახლებინა მიმოსვლა ქართველ მეფეებთან [3]]

ვოლინსკისაგან მიიღო თუ არა წერილი, რომელიც მომავალ ომში მონაწილეობის მიღებასა სთხოვდა, ვახტანგმა ნოემბრის პირველ რიცხვებში (1721 წ.) პეტრე დიდს გაუგზავნა სიგელი, თანხმობას აცხადებდა სპარსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე და თანაც ატყობინებდა იმ ადგილთა მდებარეობას, სადაც ომი უნდა მომხდარიყო. ამავე წლის ნოემბრის გასულს პეტრემ აშტარხანში ჯარი გაგზავნა[4]] რომ ოსმალეთი დაემშვიდებინა, პეტრემ გასცა ბრძანება: ჯარი იგზავნება, წინააღმდეგ ამჯანყებლებისა, რომელნიც რუს-ვაჭრებს კავკასიაში თავისუფლად ვაჭრობას ხელს უშლიანო. [5]] მაშინვე (1722 წ. იანვრისთვის 25) გაგზავნილ იქნა მე ვახტანგთან თავადი ბორისი ტურკესტანოვი. პეტრე სწერდა ვახტანგს: ურთიერთი სარგებლობა რუს და ქართველ ჯარის შეერთებას თხოულობსო, მაგრამ ვინაიდან ამის შესრულება ომის დასაწყისს შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა დაეცვათ პირველად ლეკებს და მერე კი დაინიშნოს ალაგი, სადაც ჯარის ერთად შეკრიბება შეიძლებაო[1]).

ამაზედ უწინ მე ვახტანგს სპარსეთის შაჰმა წერილი მისწერა და დახმარება სთხოვა. ამ დროს სპარსეთში სეფევიდების წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. 1722 წ., მარტის 8-ს ატყდა ომი გულბანადთან და მერმე კი თითონ ისპაჰანს შემოარტყეს ალყა.

კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა შაჰმა, ჰუსეინმა დასახმარებლად ქართლის მეფე ვახტანგ მე-II-ს მიმართა; შაჰი ფიქრობდა, ვახტანგი შურს იძიებს ბიძა გიორგის და ძმებ როსტომ და ქაიხოსროს მოკვლისათვისაო; ვახტანგს ვასსალური დამოკიდებულება ჰქონდა სპარსეთთან, ისვალდებული იყო შაჰის თხოვნა შეესრულებინა. მაგრამ ვინაიდან დიდ იმედებს ამყარებდა სპარსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომზე და თან ფიქრობდა, ეს ომი საშუდამოთ გაანთავისუფლებს საქართველოს სპარსეთის გავლენისაგანო, ვახტანგმა [illegible] ვნას სრულიად არ მიაქცია ყურადღება.

1722 წ. ივნისის 15-ს. პეტრე უკვე აშტარხანში მივიდა და გამოსცა მანიფესტი სპარსულ და ოსმალურ ენებზე. სპარსეთში რუსების მოსვლის მიზეზად ის სახავდა შემახაში მომხდარ აჯანყებას, სადაც რუსი ვაჭრები გაძარცვეს. ჩვენ—ამბობდა პეტრე მანიფესტში,—გადავსწყვიტეთ დავსაჯა ამჯანყებლები, რომელნიც ორთავე მხარეს ზიანს აყენებენო[2])

აშტარხნიდან პეტრე თავისის ჯარით გემებზე კასპიის ზღვის დასავლეთ მხარეს გადავიდა. რუსის ჯარის შემოსვლა, რო გაიგეს, ყველა ადგილობრივნი მთავარნი რუს იმპერატორთან მივიდნენ და მორჩილება განუცხადეს. [3])

როცა პეტრე მდინარე სულახანის ახლო იყო, ვახტანგის წერილი მოუვიდა. ვახტანგი დიდ სიხარულს გამოსთქვამდა სპარსეთში რუსის ჯარის შემოსვლისა გამო. [1]). პეტრე ქ. დარუბანდში გამაგრდა, აქედან გაგზავნა საქართველოში პოლპოლ. ი. ტოლსტოი გრამატი, რომლითაც ვახტანგს სთხოვდა მიეწერა შაჰისთვის დამაწყნარებელი წერილი, ვითომც რუსის მეფე ჩამოსულიყოს იმიტომ, რომ შაჰს აჯანყების ჩაქრობაში „დიდი სარგებლობა“ მოუტანა, რისთვისაც მან შაჰმან) უნდა დაუთმოს კასპიის ზღვის პირად მდებარე ადგილები. თითონ ვახტანგს სწერდა, რომ ეს ომი „უაღრეს სარგებლობა-ს“ მოგვანიჭებსო, ვინაიდან განთავისუფლდებით ურწმუნოთა გავლენისგან. [2]) ამასთან ერთად ვახტანგმა მიიღო წერილები არზრუმის ფაშის და აგრეთვე შაჰისაგინაც. პირველი ატყობინებდა სპარსეთის წინააღმდეგ ოსმალოთა ჯარის გამოლაშქრებას და სთხოვდა ვახტანგს ომში მონაწილეობა მიეღო, და ამისათვის ჰპირდებოდა: ოსმალეთში რაც ქრისტიანებია, შენის მფლობელობის ქვეშ დავაბრუნდებიანო. შაჰი სთხოვდა ლეკების წინააღმდეგ გალაშქრებას. [3]) ვახტანგი დაეთანხმა შაჰს, მაგრამ ისე კი, რომ რუსებისთვის ზარალი არ მიეყენებინა. ის ჰფიქრობდა, ქ. განჯაში ადგილობრივი სომხები და თათრები შაჰის ჯარისთვის შემოერთებინა და აქედან ლეკთა წინააღმდეგ მოქმედება დაეწყო, სანამ პეტრესაგან ბრძანებას არ მიიღებდა. [4]) მაგრამ შემდეგ, როცა ივ. ტოლსტოიმ პეტრეს გეგმა გააცნო, ვახტანგმა ასეთი განკარგულება გააუქმა ვახტანგი უკან დაბრუნდა, და მით თვის წინააღმდეგ შაჰი აიმხედრა მაგრამ გულს მაინც არ იტეხავდა „რაც უნდა გარდაგვხდეს, წამებად შეგვირაცხია, ოღონდ ეს იქმნას, რომელიც იმედი და წყალობა უბძანებიათ,“ სწერდა ის პეტრეს. [5])

შეაგროვა ვახტანგმა ჯარი და გაილაშქრა ლეკთა წინააღმდეგ ესენი ყარაბაღში თავმოყრილიყვნენ. და აქ „დიდი ხანი„ მოელოდა პეტრესაგან ბრძანებას. „ვინცავინ აქათი ლეკნი არიან.

*) Бутковъ. Матеріалы т. I стр. 4.

[2]) ibid. стр. 5.

[3]) ibid стр 6 и 520—524

[4]) Переписка грузинскихъ царей съ Россійскими государями стр 138

[5]) Бутковъ Матеріалы т I стр 10—12

[1]) Ф Плоенъ. Историческій обзоръ дипломатич. сношеній. стр XXV

[2]) Бутковъ. Матеріялы.. т. I стр. 16.

[3]) ibil. стр. 1, 20, 78, 80, 26, 68, т. II стр. 385 примеч. 1-ое

[1]) Ф. Плоенъ. Историч обзоръ. стр. LXXVI

[2]) Бутковъ. Матеріалы т. I стр 31-32

[3]) Плоенъ. Историч. обзоръ.. стр. LXXVI

[4]) Переписка. стр 139

[5]) ibid стр. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—სწერდა ის პეტრეს,—შიშით თავის სახლებიდამ ვერ გამოდიანო. ერთი სულთანი არის, ისიც შერიგებას გვეხვეწება, მაგრამ კახი ბატონი, რომე ჩვენ ქიშპი და მტერი არის, ზურგს აბამს უნდა, რომ, ჩვენი სამსახურ ხელმწიფესთან არ გამოაჩინოს... **ჩვენ აქამდინ შირავნსაც გამოვიდოდით, მაგრამ, მაგითი ბრძანება რომე არ მოგვივიდა, ის გვაგვიანებს** [1]. აწ, ჩვენგან რჩევა და მოხსენება არ იკადრების, მაგრამ, მითამც ამ ალაგების ბელადობა გვეთქმის, იმიტომ მოვახსენებთ აქათს ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომ აქაური საქმეები დიად არეული არის და ერთი ასეთი არა გამოვარდეს რა, რომ აქათური საქმე არ წახდეს. თუ ხელმწიფე ჯერ მანდაურის სასაქმესაგან მოუცვლელად ბრძანდებოდეს და აქათ წამობძანება ამიტომ გვიანდებოდეს, ეს მაინც იქნას, ერთი მაგათი ასეთი ჯარი შირვანს მოვიდეს. აქედან ჩვენ ვიქნებით, შევიყრებით და უოველი საქმე ღონით გარიგდების. ერევნამდინ რაც ალაგია, დავიჭერთ და ვეცდებით, რომე ერევანიც დავიჭიროთ". [2]) როგორც ვხედავთ, ვახტანგი რჩევას აძლევს პეტრეს, შირვანში ჯარი გამოგზავნე, იქ ქართველები შეუერთდებიან და ერევნისაკენ გაილაშქრებენო.

მაგრამ ვახტანგის კეთილი სურვილი არ განხორციელდა. გარემოება ისე შეიცვალა, რომ პეტრე I ქ. დარუბანდიდან უკვე 1722 წ. სეკტემბრის 6 ს, უკან დაბრუნდა. პეტრე ჰფიქრობდა, რომ ქ. აშტარხნიდან კაპიტანი ვალბუა მალე სურსათს მოაწვდიდა. მართლაც სურსათი აშტარხნის ყურემდე მიიტანეს, მაგრამ გემები გზაში დაზიანდენ და ამიტომ, მგზავრობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ქ. დარუბანდში კი სურსათი მხოლოდ ერთი თვის საყოფი იყო. დაპყრობილ ადგილებში სურსათის შოვნა არ შეიძლებოდა. "ამ დროს, -ამბობს ისტორიკოსი ბუტკოვი,—სენატში მოხდა დიდი უთანხმოება, რომელიც გამოიწვია ობერ-პროკურორის სკორდნიკოვ-პისარევის და სენატორ შაფიროვის შუა ჩამოვარდნილ უთანხმოებამ". ამ გარემოებამ აიძულა პეტრე, გალაშქრება შეეჩერებინა. დასტოვა ქ. დარუბანდში გარნიზონი და აშტარხანს გამობრუნდა.

იმ დროს, როცა რუსის ჯარი გამოვიდა ქ. დარუბანდიდან (1722წ. ენკენ. 6-სა), მიიღეს ცნობა, რომ 30 ათასი ქართველი ჯარი შეგროვდა ყარაბახშიო. [3]) სპარსეთის წინააღმდეგ სომხებმაც გაილაშქრეს, რადგან, დიდი ხანია, სწყუროდათ ურწმუნოთა უღელის მოშორება. გაიგეს რა პეტრეს სურვილი, გაგზავნეს კაცი და სთხოვეს, რომ ომში მონაწილეობა მიეღოთ. პეტრე დასთანხმდა და სთხოვა ვახტანგს, რომ მათთვის სარდალი დაენიშნა. ვახტანგმა დევიდ-ბეგი დანიშნა, რომელმაც 60 ათასი ჯარი შეჰკრიბა და გაპანში (შუშის ხანის სამფლობელო) დაბანაკდა.

მაგრამ პეტრეს უკან დაბრუნებამ საქმე სხვანაირად წაიყვანა. [1]) იმ დროს ,როცა მ. ვახტანგი პეტრე დიდს წერილსა სწერდა ატყობინებდა—დიდ-ძალი ჯარით ყარაბაღში ვარო. პეტრე უკვე აშტარხანში იყო—4 ოქტომბ. 1722 წ. [2])

ამ დროს სპარსეთში არეულობა მოხდა, რასაც ოკტომბრის 10 (1722 წ,) ირანის სატახტო ქალაქის დაცემა მოჰყვა და შაჰი ჰუსეინი იძულებული იყო მირ-მაჰმედს დამორჩილებოდა. ტახტზე ავიდა ახალგაზრდა ტახმასპი, შვილი ჰუსეინისა, რომელმაც დახმარებისთვის ვახტანგს მიმართა. ტახმასპი თხოულობდა სპარსეთში ჯარის გაგზავნას და ჯარის უფროსად კი ვახტანგის შვილის, ბაქარის, დანიშვნას. „თქვენო დიდად აღმატებულებავ, კარგად იცი, - სწერდა შაჰი, - რომ თუ ღმერთმა ინება, ავაზაკს ვაჯობე და ისფაჰანის სატახტო საქმეების მოვაწყვე, შირვანის და სხვა ოლქების საქმეები ადვილად მოსაგვარებელია", [3])

მაგრამ ვახტანგი რუსებზე დიდ იმედებს ამყარებდა და ამიტომ შაჰს უარი შეუთვალა.

ამ ნაირად მან აშკარად დაამტკიცა რუსებისადმი სიყვარული, რითაც მტრებმა ისარგებლეს.

კახეთის მფლობელმა, კონსტანტინემ, ქრისტიანობას უღალატა. მიიღო ისლამის სარწმუნოება და ვახტანგის შეურიგებელი მტერი გახდა. მან ყველაფერი შეატყობინა ახალგაზრდა შაჰს და ვახტანგი მოღალატედ აღიარა. შაჰმა ვახტანგის წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნა. მაგრამ პირველად კონსტანტინე დამარცხდა და ლეკებ-დაღესტლებთან გაიქცა, ამათ დახმარება სთხოვა და აღუთქვა, შეგეძლებათ სამის დღის განმავლობაში ქ. თფილისი სძარცვოთ, თუ ვახტანგს დაამარცხებთო. ლეკები და დაღესტნელები დასთანხმდნენ და კონსტანტინეს მეთაურობით შეუმჩნევლად ღამე დაეცნენ თფილისს და მთელი გარნიზონი ამოწყვიტეს- ვახტანგი იმერეთს გაიქცა. ეს მოხდა 1722 წ. დასაწყისს [4])

მალე ოსმალებმაც წამოჰყვეს თავი. გაზაფხულზე აზრუმის ფაშა 20 ათას ჯარით ქართლისა და კახეთის მიდამოებში შემოიჭრა. კახეთში მათ დაიჭირეს კონსტანტინე, მოსჭრეს თავი და სულთანს გაუგზავნეს. ოსმალებმა დაიკავეს მცირე სომხეთი, დაიპყრეს საუკეთესო ადგილები ერევნიდან თავრიზამდე, მოკლე ხანში ქართლსა და კახეთს მეფეების მაგივრად განაგებდნენ ფაშები. მაგრამ მერმე ქართლში ტახტზე დასვეს ვახტანგის ძმა იესე, რომელმაც ისლამი მიიღო, კახეთში კი—თეიმურაზი, ძმა კონსტანტინესი.

ამ ნაირად, აღმოსავლეთი საქართველო მოჰყვა ოსმალთა ხელში. ესენი 12 წლის განმავლობაში ბატონობდნენ აქ, სანამ შაჰნადირმა არ განდევნა საქართველოდან. [1])

**სირაძე.**

(შემდეგი იქნება,)

[1]) სჩანს, რომ არავითარ ღალატს ადგილი არა აქვს. როგორც **ბ რომანოვსკი** ამბობს, **ვ**ითომც ვახტანგის დაგვიანებოდეს ჯარის შეგროვება და დროზე გალაშქრება

[2]) Переписка. . з 142-143

[3]) Бутковъ. матеріалы.. т 1 стр 28, 30,31.

[4] Бутковъ. Матеріалы... т. I стр. 31.

[2]) ibid стр 39; Переписка. стр. 142

[3]) Переписка. . стр 145 146

[4]) Бутковъ. Матеріалы т. I стр. 50, 505.

# ქართველ სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა.

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სამხედრო მინისტრის ნებადართვით იყო მოწვეული და ყრილობის კრებები გაგრძელდა დეკემბრისთვის 18—20. ყრილობას ქონდა ხუთი კრება, ამ კრების სხდომებზე შემუშავებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუციები:

**პირველი კითხვა:** სამხედრო საექიმო-სასანიტარო და სამოქალაქო საექიმო-სასანიტარო საქმეებს ურთი ერთ შორის დამოკიდებულება საქართველოს რესპულიკაში.

**დადგენილება:** ქართველ სამხედრო ექიმთა ყრილობამ იქონია რა მსჯელობა სასანიტარო სამკურნალო საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენების შესახებ ქართულ ჯარში საამისოდ წარმოსდგმულ მუხლის გამო: სამხედრო საექიმო სასანიტარო და სამოქალაქო სასანიტარო უწყებების ურთი-ერთა შორის დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკაში. გამოსთქვა შემდეგი: სამკურნალო სასანიტარო საქმე ჯარში მრავალმხრივია და რთული, ჯარს აქვს საკუთარი ელფერი, შექმნილია მასში ერთგვარი თავისებურება და ამისათვის ს სანიტარო-სამკურნალო საქმეც მასში მოითხოვს შესაფერ შეხამებულებას. მხედრობას, როგორც სამშობლოს კეთილდღეობის დამცველს, ბედმა არგუნა განსაკუთრებული დანიშნულება, მისი ცხოვრება ცვალებადია, სასანიტარო-სამკურნალო საქმეც მასში შეწონილი უნდა იყვეს ყოველთვის და ყველგან. ლაშქარი ძლიერია, თუ თვითეული მისი მხედარი საღია და არის იგი მოკიდებული ჯეროვან ჰიგიენას ყოველის მხრივ. სამკურნალო. სასანიტარო საქმის გამძღოლა ქართულ ჯარში უნდა დაევალოს მხოლოდ სამხედრო ექიმთა შემადგენლობას, რომელიც ამისათვის არის მომზადებული და აქვს ჯეროვანი გამოცდილება ამ დარგში. სამხედრო საავადმყოფოები უნდა წარმოადგენდნენ სკოლებს სამხედრო ექიმთათვის, იქ მათ უნდა ჰქონდეთ შეძლება საავადმყოფოს მასალის მიხედვით გააფართოვონ თავიანთი ცოდნა. ტფილისის სამხედრო საავადმყოფო კი უნდა გარდაიქცეს ახალგაზრდა სამხედრო ექიმთათვის „ქართულ სამხედრო კლინიკად“. ქართველ მხედრების კეთილდღეობა საზოგადოთ და კერძოთ ფრთხილად, საკუთად შენარჩუნება ჯარის სიფაქიზისა და შეურყევლად დაცვა მისის „დისციპლინისა“ დაყენებით უკარნახებს სამხედრო ექიმთა ყრილობას გადაწყვეტით აღიაროს მან, რომ სამოქალაქო და სამხედრო სანიტარულ სამკურნალოს გამგებლობანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ ერთ-ერთმანეთში არეულნი. მოსალოდნელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ქართულ ჯარში სამკურნალო სასანიტარო განყოფილება უნდა იყოს მოწყობილი განსაკუთრებით, თავის საკუთარ საავადმყოფოებით და სამხედრო ექიმების შემადგენლობით

**მეორე კითხვა:** სამხედრო ექიმთა საბჭოს დაარსება სასანიტარო უფრო-სთან ერთად გაუძლიერებ[illegible] სამხედრო სამხედრ[illegible] რესპუბლიკაში.

**დადგენილება:** სამხედრო სასანიტარო საექიმო საქმე არის უმაღლესი სასანიტარო ავტონომიური ორგანო, ერთის წლით არჩეული. ინსპექტორი შედის ამ საბჭოში ex officio და მუდმივი თავმჯდომარეა და სისრულეში მომყვანი საბჭოს დადგენილებისა.

საბჭო აღჭურვილი შემდეგი უფლებებით:

1. იქონიოს სამხედრო სამინისტროსთან მჭიდრო კავშირი და იყოს გამძღოლი მთელ სამკურნალო სასანიტარო საქმისა ქართულ ჯარში.

2. საბჭოს შეუძლიან წარსდგეს სამხედრო მინისტრთან როგორც in corpore, ისე შეუძლიან საქმისათვის გაგზავნოს რომელიმე თავისი საგანგებოდ ამორჩეული, თვითეულ შემთხვევაში, უფლებებით აღჭურვილი წევრი.

ინსტრუქციები (დებულებები)

1. შეიმუშავოს პროექტი ახალ წესდებისა სამკურნალო სანიტარიის მხრივ, ჯარში სამხედრო მინისტრისთვის წარსადგენად.

ა) საბჭო მოახდენს ქართველ სამხედრო ექიმთა სრულ რეგისტრაციას, იკვლევს მათს curriculum vitae-ს, გამოაშუქებს მათს მეცნიერულ შრომებს და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ადგენს, ამის და მიხედვით, ექიმთა კანდიდატთა სიას, რომელ სიითაც ხელმძღვანელობს სასანიტარო მმართველობა ადგილების განაწილების დროს და ამასთან, საბჭოს ევალება დღევანდელ მსახურ ექიმთა სია განიხილოს და თუ არსებულ ადგილთა განაწილებაში უსამართლობა აღმოაჩინა, ეს უკანასკნელი გაასწოროს.

ბ) შემუშავება ფერშლების საკითხისა, ფარმაცევტებისა და სათნოების დათა.

გ) სანიტარების საკითხი, მათი მომზადება საავათმყოფოებისთვის და ჯარის ნაწილებისათვის.

დ) მატერიალური მხარე მოსამსახურეთა.

ე) საკითხი თანხის შესახებ ავათმყოფის მოსავლელად.

2. ქსენონების გახსნა ჯარის ნაწილებში.

3. სანიტარია ჯარის ნაწილებში, შექმნა ავათმყოფთათვის კლიმატიურ სადგურებისა.

4. გოსპიტლები, გასამეორებელი კურსები ექიმთათვის, ფერშლებისთვის.

5. ლექციების მოწყობა სანიტარებისთვის ჯარის ნაწილებში

6. საბჭოს უფლება აქვს კოოპტაციის ძალით სხდომაზე მიიწვიოს მცოდნე, საჭიროების დროს.

7. სასანიტარო საექიმო ქონებათა გამორკვევა და საწყობების მოწყობა, მათის გამორკვევისა და ანგარიშის წესრიგის შეცვლა

**კითხვა მესამე.** ჯარის ნაწილებში სამკურნალოების მოწყობა სამხედრო ჰოსპიტლების მოწყობა და მათი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულება ჯარის ნაწილებთან.

**დადგენილება**: მიექცეს ჯარში განსაკუთრებული ყურადღება სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესობას. მოეწყოს ყოველ ნაწილში ქსენონები და საშკურნალოები. საექიმო-სასანიტარო საქმე ნაწილებში უნდა მოწყობილ იქმნას ავტონომიურათ. ექიმები იყვნენ დამოუკიდებელნი, მათს სიტყვას საექიმო სასანიტარო საკითხებში უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს და მათს ხელში უნდა იყოს ყოველი საშუალება, რაც ცხოვრებაში მათის განკარგულებას გასატარებლად საჭიროა.

**კითხვა მეთოხე**. სამხედრო ექიმთა და ოფიცრებთა ურთიერთობა.

**დადგენილება**: სამხედრო ექიმთა და ოფიცერთა ურთი-ერთ დამოკიდებულების შესახებ ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში ყოველი მხარე ჯარში სამსახურისა, სურვილი გამოსთქვა: დაარსდეს ცალკე სანიტარული კორპუსი. მთისში ექიმთა კორპორაციაში ყოველივე ეგრედ წოდებული „ჩინი“, ექიმთ უნდა ჰქონდესთ სამხედრო ტანისამოსის საკუთარი ფორმა და ნიშანი. ერთი-ერთმანეთისაგან გაირჩეოდნენ ხოლმე თანამდებობის მიხედვით და ეწოდებოდნენ: საავადმყოფოში: „მთავარი ექიმი“, „უფროსი ექიმი“, „უმცროსი ექიმი“; ჯარის ნაწილებში: „დივიზიის უფროსი ექიმი“, „უმცროსი ექიმი“, „ბრიგადის უფროსი ექიმი“ „ერთეულის უფროსი ექიმი“ „უმცროსი ექიმი“. თანამდებობის მიხედვით, ექიმს ეძლეოდეს ყოველივე ის სახელმწიფოებრივი უფლება, რაც მინიჭებული აქვს ოფიცერთა კორპუსს ჯარში, და ურთი-ერთ დამოკიდებულების დროს ოფიცერთა და ექიმთა შორის როგორც სამსახურში, ისე კერძო ცხოვრებაში მთლიანად იყვეს დაცული ასეთი მინიჭებული უფლებრივობა ერთისაც და მეორისაც ყოველ შემთხვევაში. განისაზღვროს თუ რა თანამდებობა ექიმისა რომელ თანამდებობას უდრის ექიმისას და დაცულ იყოს, დისციპლინის თვალსზედვით, უფროს-უმცროსობა ერთნაირათ თანამდებობის მიხედვით ექიმთა და ოფიცერთა ურთი-ერთ დამოკიდებულების დროს.

სამხედრო ექიმთა პირველ ყრილობის თავმჯდომარე **დ. ახვლედიანი**.

მისი ამხანაგი ექიმი **მ. იაშვილი**.

მდივანი: ექიმები **ერისთავი ნიკო**, **დ. სვიმონიშვილი**.

რეზოლიუციების წაკითხვის შემდეგ კრებამ ღვინობისთვის 20 პრეზიდიუმს დაავალა რეზოლუციები ბ. სამხედრო მინისტრს მოხსენებოდა. პრეზიდიუმი ღვინობისთვის 21 დილის 11 საათზედ ბ-ნ მინისტრს წარუდგა და მოახსენა ყოველივე ვითარება საქმისა, და სთხოვა კეთილ ენებებინა და დაემტკიცებინა საბჭოს შესახებ შემუშავებული მუხლები. მინისტრმა სამხედრო ექიმთა კრებების ნაყოფიერი მუშაობა რომ გაშინჯა, სთქვა, ღვინობისთვის 21 6 საათზე სხდომაზე მე თვითონ მივალ და ჩემს შეხედულებასა და აზრს საბჭოს შესახებ კრებას გავუზიარებო.

შტაბის წევრების თანხლებით კრებაზედ მობრძანდა სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე, ვრცელის სიტყვით მიესალმა სამხედრო ექიმთა ყრილობის აღმშენებლობითს მუშაობას, გამოსთქვა აზრი, რომ ექიმთა კორპორაცია ყოველგან და მუდამ ჟამს დემოკრატიულ იდეათა მატრფიალე იყო და ცხოვრებაშიც დემოკრატიულ იდეას ანხორციელებდა და, რასაკვირველია, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაც ასევე იქმნება. მაგრამ ამასთანავე ვიმედოვნებ, რომ ქართველი სამხედრო ექიმები თავიანთ მუშაობას მხოლოთ თავიანთ სპეციალურ საგნების შესახებ მუშაობით არ განსაზღვრავენ, არამედ ჩვენს ჯარშიაც შეიტანენ ფართო კულტურულ მუშაობას, რითაც ჩვენს მთავრობას დიდსა და დიდ დახმარებას გაუწევენო. ბ. სამხედრო მინისტრის სიტყვას კრება ტაშის გრით მიეგება. კრების მინდობილობით ამხანაგ მ. იაშვილმა პასუხი მოახსენა ბ. სამხედრო მინისტრს და კრება დაიხურა.

ექიმი **ერისთავი—შარვაშიძე**

# პრესსა

**„ერთობა“.**

„გენერალ ტომსონის ფრაზა, შესახებ „რუსეთის ტერიტორიისა, რომელიც მოთავსებულია შავსა და კასპიის ზღვის შუა“, თითქოს არ მოასწავებდა საქართველოს რესპუბლიკისადმი კეთილ განწყობილებას. დღეს კი ჩვენ მოგვიგროვდა რამდენიმე ფაქტი, რომლებიც, პირიქით, იმის მაჩვენებელია, რომ მოკავშირეთ არა აქვთ სურვილი ჩვენი რესპუბლიკის საზარალოთ რაიმე ზომები მიიღონ“.

შემდეგ გაზეთი მოგვითხრობს იმ კარგ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა საქართველომ ინგლისის ესკადრის უფროსზე, ერთის მხრივ, და ბაქოდან ჩამოსულ ინგლისელვე მაიორზე მეორეს მხრივ.

გენერლების და ადმირალების კერძო ხასიათის განცხადებებმა არც სასოწარკვეთილებაში უნდა ჩაგვაგდოს და არც იმედები გაგვიფუჭოს. ტომსონის განცხადება იმით იყო, ალბად, გამოწვეული, რომ მას, ერთის მხრივ, არავითარი წარმოდგენა ჰქონია ჩვენი რესპუბლიკის ვითარებაზე, მეორე მხრივ კი არავითარი ინსტრუქციები ჰქონია ჩვენს შესახებ საკუთარ მთავრობისაგან.

რამდენადმე ამაში ჩვენ თვითონა ვართ დამნაშავენი. როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლათ გამოაცხადა თავი, მაშინვე უნდა გაგვეგზავნა ჩვენ წარმომადგენლები ინგლისშიც, საფრანგეთშიც და ამერიკაშიც, ეს კი ჩვენ მოგვიგვიანდა. ინგლისელები ისე მოადგნენ ჩვენს საზღვრებს, რომ ჩვენ შეხებაც კი არ მოგვიხდენია, ვერა გვქონია შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატიასთან.

დღეს ეს შეცდომა გასწორებულია. იმედი გვაქვს, კერძო პირების მაგიერ, ახლო მომავალში ოფიციალური წარმომადგენლები არა ნაკლებ სასიამოვნო ამბებს გვაცნობებენ ჩვენ შესახებ.

რედაქტორი **ა. ხ. ხვანიძე**.

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე“ კალოუბნის ქუჩა, №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ორი მან.